საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყვეყა უკარისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 26 ოქტომბერი. 2017 წ. №220 (8357), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ქართული ეკლესიის თავზე „ცის ჩამოქცევა“ გრძელდება?!

მეუფე დიმიტრი შიოლაშვილის განცხადებით, პატრიარქი დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმესთან დაკავშირებით ინფორმირებულია.

„პატრიარქთან ამ თემებზეც ვისაუბრეთ. მინდა, გითხრათ, რომ ყველა თავზარდაცემულები ვართ. თავიდანაც ასევე იყო, როდესაც გერმანიაში მოხვდა. ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, თუ შეიძლებოდა ასეთი რამე მომხდარიყო“.



პატრიარქი ისევე გაორებულ მდგომარეობაშია, როგორც თითოეული ჩვენგანი ვართ. **„ცის ჩამოქცევა უწოდა“ – გახსოვთ თქვენ. თვითონ პატრიარქი ჩვენ ყველას გვანუგეშებს და თავისთავად მასაც, რომ ის ამის ჩამდენი არ უნდა იყოს. ყველაზე მეტად თუ ვინმეს უნდა, რომ მამა გიორგი გამართლდეს და უდანაშაულო დარჩეს, ერთ-ერთი მე ვარ, მერწმუნეთ“,** – განუცხადა ჟურნალისტებს დეკანოზთან შეხვედრის შემდეგ მეუფე დიმიტრიმ.

* * *

მეუფე დიმიტრი შიოლაშვილის განცხადებით, დეკანოზი გიორგი მამალაძე საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ამის შესახებ მან ე.წ. მატროსოვის საპყრობილიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა:

„საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია და თავისთავად, ეს გასაკვირი არ იყო. მამა გიორგი არის ისევ თავის აზრზე, რომ ეს იყო შეთქმულება ჩემს წინააღმდეგ. ჩვენ ამაზე საკმაოდ დიდხანს ვისაუბრებთ. მე ვფიქრობ, რომ ეს იყო შეთქმულება არა მხოლოდ ჩემ წინააღმდეგ, არამედ ეკლესიის წინააღმდეგ და ის, ვინც ეს დაგეგმა, არის ძალიან ბოროტი ადამიანი“, – განაცხადა მეუფემ. როგორც მეუფე შიოლაშვილი აცხადებს, მას დეკანოზთან კითხვებიც ჰქონდა.

„კითხვა დავსვი, რატომ ხარ შენ ამ საქმეში მთავარი მოქმედი პირი? წინა პრესკონფერენციაზე აღვნიშნე, რომ გამოძიებამ ბევრი კითხვა დამიტოვა – ჰქონდა თუ არა მას ციანიდი, ვერ დადასტურდა, რომ მან ნამდვილად შეიძინა ის, მაგრამ მე ძალიან მაშფოთებს ის ჩანაწერი, სადაც არის საუბარი დოზაზე, განეიტრალებაზე და ა.შ. ის ისევ რჩება თავის აზრზე, რომ მას ეს მოუწყვეს და ეს მოუწყო ადამიანების იმ ჯგუფმა, ვისაც ასახელებდა და აცხადებს, რომ შორენა თეთრუაშვილისგან ჰქონდა შეკვეთა, რომ ჩამოეტანა და გადაეცა მისთვის“, – განაცხადა მეუფე დიმიტრიმ.

* * *

ხშირად მსაყვედურობენ, ამდენი ხანი რატომ არ მოვინახულე, – განუცხადა ჟურნალისტებს მეუფე დიმიტრი შიოლაშვილმა.

„ჯერ ერთი, გამოძიების დროს ზედმეტი კითხვები რომ არ დასმულიყო, თავი შევიკავე. ერთ-ერთი მღვდელმთავარი როდესაც შევიდა მამა გიორგისთან, ჩვენ ჯერ კიდევ გერმანიაში ვიყავით, გაჩნდა კითხვა, მღვდელმთავარმა ხომ არ უკარნახა რაღაცები და ა.შ. თან ამ საქმეზე მოწმეც ვიყავი და იურიდიულად არ მქონდა უფლება. მეორე, ემოციურად მძიმე მდგომაროებაში გახლდით, ეს უნდა დამეძლია. ეს იყო ჩემთვის ცის ჩამოქცევა. ეს ყველაფერი იქნა დაძლეული. შევხვდით. ძალიან ემოციური შეხვედრა გვქონდა, ძალიან მძიმე“, – აღნიშნა მეუფე დიმიტრიმ.

კახა კალაძე: საზოგადოებასთან კომუნიკაციის არსებული ფორმა მიუღებელია

კახა კალაძის შეხვედრა საკრებულოს ახალარჩეულ და ყოფილ საკრებულოს წევრებთან საქმიანად წარიმართა. კალაძის განცხადებით, საკრებულოსა და მერიას საზოგადოებასთან კომუნიკაციის პრობლემა ჰქონდათ და ეს შეხვედრაზეც გამოჩნდა.

„გარდამავალი პერიოდი დავყავი რამდენიმე ეტაპად და ვისაუბრეთ, რა უნდა გაკეთდეს მანამდე, ვიდრე უფლებამოსილება მოგვენიჭება.

რაც შეეხება კომუნიკაციას, რაც წლების მანძილზე იყო საკრებულოსა და მერიაში, ეს ჩემთვის არ არის მისაღები“, – განაცხადა კალაძემ .

რაც შეიძლება მეტი „პანორამა თბილისი“ გვჭირდება!

კახა კალაძე მიიჩნევს, რომ დედაქალაქში „პანორამა თბილისის“ მსგავსი მეტი მასშტაბური პროექტის განხორციელებაა საჭირო.

„რაც შეიძლება მეტი „პანორამა თბილისი“ გვჭირდება. მეტი ასეთი მნიშვნელობის პროექტის განხორციელებაა საჭირო, რადგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, ყველამ ვიცით, რომ ახალი სამუშაო ადგილებია. ასეთი მსხვილი პროექტების განხორციელება ქმნის სამუშაო ადგილებს, როგორც მშენებლობის პროცესში, ისე მშენებლობის დასრულების შემდეგ. ზუსტად ამას ეწინააღმდეგებოდნენ ოპონენტები, სხვას არაფერს. იციან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი მასშტაბური პროექტების განხორციელება ქალაქისთვის, ქვეყნის ეკონომიკისთვის, ქვეყნის წინსვლისთვის და ამიტომ იყო ეს წინააღმდეგობა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ხელი შევუწყოთ ბიზნესს და ყველა ადამიანს, ვინც თითო აგურს დადებს ქალაქის განვითარებაში და ქვეყნის კეთილდღეობაში“, – განაცხადა კალაძემ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში.

რადიო თორდია: ეს პირველია, რომლის მსგავსი არც არასდროს გვქონია

6

ჯოხთაბერიძის გალერეა

როდის გვექნება მიწის კოდექსი?

ლია წერილი

5

საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს!
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს!

კიდევ ერთხელ მიწის საკითხზე

„ქართული ეროვნული სამოსის მრავალფეროვნება“ სლოვაკეთში

5

დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტისთვის თანხის გამოყოფაზე ყურს არავინ იბერტყავს!

9

ფუცუ დგებუაძე-ფულარია - 130

კეთილი სიტყვა „ოქროს ბეჭდის“ ავტორზე

7

ირაკლი კობახიძე ისრაელის ქნესეთის თავმჯდომარეს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ისრაელის სახელმწიფოში ოფიციალურ ვიზიტს განაგრძობს. ვიზიტის ფარგლებში ირაკლი კობახიძემ შეხვედრები ისრაელის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გამართა.

ქნესეთში ოფიციალური დახვედრის ცერემონიისა და ბრძოლის ველზე დაცემული ჯარისკაცების ხსოვნის მემორიალის გვირგვინით შემკობის შემდეგ, ირაკლი კობახიძემ ქნესეთის თავმჯდომარესთან იული იოელ ედელშტეინთან პირისპირ შეხვედრა გამართა. პირისპირ საუბრის შემდეგ, შეხვედრა გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა, რომელსაც საქართველოს პარლამენტის დელეგაცია და ისრაელი-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის თანათავმჯდომარეები – ჰილიკ ბარი და იოავ კიში ესწრებოდნენ.

ირაკლი კობახიძის განცხადებით, ქვეყანას საქართველოდან წარმომადგენლობითი საპარლამენტო დელეგაცია სტუმრობს, რაც ხაზს უსვამს საქართველოსთვის ისრაელთან მეგობრობისა და პარტნიორობის მნიშვნელობას.

მხარეებმა ორმხრივი ურთიერთობების შესახებ ისაუბრეს. მათი შეფასებით, ქვეყნებს შორის პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობები უფრო დინამიკური ხდება.

ექსპერტ-კრიმინალისტები ჯორჯიის შტატში

შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანამშრომლები აშშ-ის ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ.

საქართველოს შსს-ს დელეგაციის წევრებმა ჯორჯიის შტატის გამოძიების ბიუროს საექსპერტო ლაბორატორიაში, შემთხვევის ადგილზე მუშაობის სპეციფიკის საკითხებზე სწავლება გაიარეს.

სასწავლო ვიზიტი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) დაფინანსებითა და ორგანიზებით განხორციელდა.

ქართველი ექსპერტ-კრიმინალისტების აშშ-ში ვიზიტის შესახებ ამერიკულმა ტელეკომპანია CBS46-მა სპეციალური სიუჟეტი მოამზადა.

„აშშ-ის ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროს ექსპერტებმა თავიანთი გამოცდილება ამავე სფეროში მომუშავე უცხოელ სამართალდამცველებს გაუზიარეს. ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიურო, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ქართველი ექსპერტ-კრიმინალისტებისთვის ტრენინგს ატარებს. ქართველი სამართალდამცველები რამდენიმე დღეა, რაც აშშ-ში იმყოფებიან, ექსპერტიზის ტექნიკას ეუფლებიან და ახალ უნარებს იძენენ, რასაც შემდეგ თავიანთ ქვეყანაში კოლეგებს გაუზიარებენ.

ჯორჯიის შტატის საგამოძიებო ბიუროს ექსპერტები დეკემბერში საქართველოს საპასუხო ვიზიტით ეწვევიან“, – აღნიშნულია ტელეკომპანია CBS46-ის ვებ-გვერდზე.

თამაზ მეჭიაური თიანეთის მერია!

მცხეთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თამაზ მეჭიაური თიანეთის მერი გახდა. მეჭიაური გადაწყვეტილებით კმაყოფილია. მისი თქმით, 21 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები მე-20 უბანზე არ გაყალბებულა, გაყალბდა მხოლოდ საოლქოში, სადაც ბათილი ბიულეტენები ვარგის ბიულეტენებად ცნეს და 4 ხმა მეჭიაურის კონკურენტს ლელა ქიტესაშვილს მიაკუთვნეს.

„ქართულ ოცნებაში“ არიან საღი ძალები, რომლებმაც აღიარეს შეცდომა და გადაარჩინეს თავიანთი ღირსება!

„ქართულ ოცნებაში“ არიან საღი ძალები, რომლებმაც აღიარეს შეცდომა და გადაარჩინეს თავისი ღირსება, – ეს განცხადება თამაზ მეჭიაურმა სასმართლო სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა:

„გუშინ და დღესაც არ გამოცხადდა, თვითონ „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისი მაქვს მხედველობაში, წარმომადგენელი. ეს ნიშნავს იმას, რომ, „ქართულ ოცნებაში“ არიან საღი ძალები, რომლებმაც გადაწონეს და ფაქტობრივად ამით აღიარეს შეცდომა და გადაირჩინეს თავიანთი ღირსება. მე ასე მგონია და მათაც მადლობას ვუხდი“, – განაცხადა მეჭიაურმა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ.

ქიტესაშვილი მოსამართლის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს

თიანეთში თამაზ მეჭიაურის კონკურენტი ლელა ქიტესაშვილი მცხეთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

როგორც ქიტესაშვილმა „პირველ რადიოსთან“ საუბრისას განაცხადა, ის პატივს სცემს მოსამართლის გადაწყვეტილებას, თუმცა ფიქრობს, რომ სიმართლე მის მხარესაა და ბრძოლის სააპელაციაო სასამართლოში გაგრძელებას აპირებს.

„რა დავალებასაც მივიღებ, შევეცდები, ღირსეულად გავართვა თავი“

ჯერჯერობით უცნობია, რა პოზიციას დაიკავებს საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი. რაც შეეხება მის სავარაუდო შემცვლელს გიორგი ტყემალაძეს, ალიბეგაშვილი ამბობს, რომ ტყემალაძე გუნდის გამოცდილი წევრია და საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მის კანდიდატურას მიესალმება.

„მე ჩემს ადგილს ვხედავ საკრებულოში და რა დავალებასაც მივიღებ, შევეცდები, ღირსეულად გავართვა თავი. თანამდებობებთან დაკავშირებით ამ დროისთვის არ ყოფილა კონსულტაციები, ყალიბდება გუნდი და ესეც უახლოეს მომავალში გაირკვევა“, – განაცხადა ალიბეგაშვილმა.

საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრს კიდევ 1 გემი დაემატა

საქართველოს სახელმწიფო საზღვაო დროშა წარმატებით ვითარდება. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ინფორმაციით, 23 ოქტომბერს სააგენტომ საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში დაარეგისტრირა საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული ქართველი გემთმფლობელის საკუთრებაში არსებული 1 გემი.

გემის სახელი: KING DAVID (ეს. C.M. KURIK)
გემის ტიპი: ბუქსირი
IMO No: 9133886
აშენების თარიღი: 1995
რეგ. ტონა : 129
საკლასიფიკაციო საზოგადოება: BUREAU VERITAS

დღესდღეობით საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული 23 მცურავი საშუალება არის დარეგისტრირებული და ეს ციფრი იზრდება.

მედოევმა ბარსელონაში „წარმომადგენლობა“ გახსნა

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ესპანეთში, კატალონიაში ე.წ. წარმომადგენლობა გახსნა. დიმიტი მედოევი ბარსელონაში მოკლევადიანი „ვიზიტით“ იმყოფებოდა. საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, „წარმომადგენლობა“ ხელს შეუწყობს ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას პირველ რიგში კულტურულ და ჰუმანიტარულ სფეროებში. მედოევი ბარსელონაში დიასპორასაც შეხვდა.

ბარსელონაში მყოფმა მედოევმა განაცხადა, რომ კატალონიაში მიმდინარე პროცესებს სამხრეთ ოსეთი განსაკუთრებული ინტერესით აკვირდება.

„ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკაში დარჩენის შანსს კარგავს



რა გვასწავლა არჩევნებმა?

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძის განცხადებით, პარტიებმა უნდა გადახედონ იმას, რა დამოკიდებულებას ავლენს მათდამი ამომრჩეველი. როგორც პოლიტოლოგი ამბობს, ქვეყანაში უნდა არსებობდეს მმართველი პარტია და ოპოზიციური პარტიები, ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ როცა მათ შორის სხვაობა ძალიან დიდია, ეს არის დამაფიქრებელი. for.ge რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

14 ოპოზიციური **პარტია არჩევნებს არ ენდობა და აქციებს აანონსებს. მათ შორის არჩევნების შედეგებს არ ენდობა „ნაციონალური მოძრაობა“. თვითმმართველობის არჩევნების შედეგი აჩვენებს, რომ ოპოზიციის ნდობის მანდატი დაბალია. მეტიც, ისეთი სტაჟიანი და ორგანიზებული პოლიტიკური ძალა, როგორიც „ნაციონალური მოძრაობაა“, დაამარცხა უპარტიო ფიგურამ. რამ გამოიწვია პარტიების რეიტინგების ასეთი ვარდნა?**

– ზოგადად, პარტიების მიმართ დამოკიდებულება უკვე ძალიან კრიტიკულია, რამაც გაამარჯვებინა ალეკო ელისაშვილს. ამ კრიტიკულობაში უფრო მეტად პრინციპულები არიან „ნაციონალური მოძრაობის“, ვიდრე „ქართული ოცნების“ მიმართ, თუმცა ამ ფაქტს, ჯერჯერობით, „ნაციონალური მოძრაობის“ სტრატეგიებში ასახვა ვერ უპოვია. სულ იბრძვიან ისე, თითქოს 2003 წელი იყოს. არ არის 2003 წელი და მით უმეტეს მათთვის. მათი მმართველობა ხალხმა უკვე ნახა. მიუღებელი იყო ის მმართველობა და 2012 წელს გადაირჩია. რაღაცა დასკვნა ხომ უნდა გააკეთოს პარტიამ?! ნაციონალები ისევ მიხეილ სააკაშვილის სქემით მუშაობენ.

– ეს არის უკმაყოფილო ამომრჩეველზე ზემოქმედება, რამაც 2003 წელს გამარჯვება მოუტანა ამ პარტიას?

– რასაკვირველია. მაშინ შევარდნაძის მმართველობით იყო ხალხი უკმაყოფილო, ახლა „ქართული ოცნებით“ არიან უკმაყოფილო და უნდათ, რომ ამ უკმაყოფილების ტალღაზე მოვიდნენ, მაგრამ ამ უკმაყოფილების ტალღაზე „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ მოვა, იმიტომ, რომ მაგათი მმართველობით კიდევ უფრო უკმაყოფილო იყო ეს ხალხი. თუ უნდათ პოლიტიკაში დარჩენა, უნდა გაითვალისწინონ ეს ფაქტი და რაღაცნაირად რეაგირება მოახდინონ ამაზე.

ამის ნიშნები მეტ-ნაკლებად თითქოს გამოჩნდა ამ განშტოებებში – „ევროპული საქართველო“, „ახალი საქართველო“ და

◎ წერილები სამეგრელოდან

საზოგადოება „ზუგდიდელისთვის“ მთავარი არა ზუგდიდელობა, არამედ ქართველობაა!

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა ზუგდიდში მშვიდ, ნორმალურ ვითარებაში ჩაიარა. როგორც მოსალოდნელი იყო, გაერთიანებული ზუგდიდის პირველი მერი გახდა „ქართული ოცნების“ კანდიდატი ლაშა გოგია, თუმცა ბევრ მათგანს ჰქონდა მოლოდინი მეორე ტურის ჩატარებისა. ზუგდიდის 50-წევრიან საკრებულოში ორმოცზე მეტი დეპუტატი „ქართული ოცნებიდანაა“.



არჩევნების დღეებში ზუგდიდში იმყოფებოდა ჩვენი თანამემამულე, სოხუმის მკვიდრი, ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი, ქირურგი, მოსკოვის სკლიფასოვსკის სახელობის სასწრაფო დახმარების კლინიკის დირექტორი, ბატონი ანზორ ხუბუტია, რომელიც ასევე მოსკოვში მოღვაწე სახელგანთქმულ ქართველ კარდიოქირურგ ლეო ბოკერიასთან ერთად ჩვენი ქვეყნის სიამაყეს წარმოადგენენ.

საზოგადოება „ზუგდიდელმა“ და მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ოთარ ფაცაციამ ეს დამთხვევა, ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა და გამოჩენილ ექიმსა და ახლად არჩეულ მერს შეხვედრა მოუწყო ზუგდიდის საზოგადოებრიობასთან. ბატონმა ანზორმა მრავალი ქართველი გამოსტაცა სიკვდილს, გაუკეთა მათ ღვიძლის გადანერგვის ურთულესი ოპერაციები. მიუხედავად იმისა, რომ, დიდი ხანია ცხოვრობს და მოღვაწეობს რუსეთში, შესანიშნავად ფლობს როგორც ქართულ, ისე მეგრულ ენებს. „მე სოხუმში დაბადებული და გაზრდილი ვარ, 52 წელია, მოწყვეტილი ვარ ჩემს ქვეყანას, თუმცა არასოდეს მავიწყდება ჩემი სამშობლო და ჩემი ხალხი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ოთარ ფაცაციას, რომელმაც ბრწყინვალე შეხვედრა მომიწყო და შესაძლებლობა მომცა, მოვფერებოდი ჩემს თანამემამულეებს. მოსკოვში, ჩვენს ოჯახში ხან მეგრულად, ხან ქართულად ვსაუბრობთ, რადგან არ მინდა, ჩემმა შთამომავლებმა დაივიწყონ მშობლიური ენები და ტრადიციები“, აღნიშნა 71 წლის აკადემიკოსმა ანზორ ხუბუტიამ.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოება „ზუგდიდელმა“ გასულ წელს ანალოგიური შეხვედრა მოუწყო ოჩამჩირის მკვიდრს ლეო ბოკერიას. ასე რომ, საზოგადოება „ზუგდიდელისთვის“, უმთავრესია არა ზუგდიდელობა, არამედ პროფესიონალიზმი, პატრიოტობა და ქართველობა.

ანაკლიაში „თოლიას“ წევრები სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ

გავრცელებული ინფორმაციით ორიოდ თვეში ანაკლიაში პორტის მშენებლობა უნდა დაიწყოს. ამ მშენებლობიდან გამომდინარე კერძო მიწის მფლობელებს გარკვეული საზღაური გადაუხადეს, თუმცა არიან ისეთები, რომელთაც ეს საზღაური დღემდე მიღებული არა აქვთ. უფრო მეტიც, სააკაშვილის რეჟიმის მიერ წართმეული საკუთრებაში არსებული მიწები ჯერაც არ დაბრუნებიათ.

ანაკლიაში არსებული ამხანაგობა „თოლიას“ წევრებს, მიწის ნაკვეთების 25 კერძო მესაკუთრეს ზღვის სანაპირო ზოლში გააჩნიათ 8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელთა პრივატიზების კანონიერება დადასტურებულია.

2008-2012 წ.წ. სააკაშვილის რეჟიმმა დაიწყო უკანონო ბრძოლა ამ მიწების ვითომდა სახელმწიფოსათვის დასაბრუნებლად, მათ ამ ძალადობრივ, უკანონო მოქმედებებს ლეგიტიმური საფუძველი რომ მისცემოდა, 2008 წელს მოგონილი ბრალდებებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს პიროვნებები, რომელთაც თითქოს საკონკურსო წესების დარღვევით მოახდინეს მიწის ნაკვეთების პრივატიზება. ხელისუფლებამ პარალელური საქმის წარმოება წამოიწყო სასამართლოშიც, რის შედეგადაც 25 კერძო მესაკუთრის კუთვნილი 8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი აღირიცხა სახელმწიფოს საკუთრებაში ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. მართალია, მოძალადე ხელისუფლებას არ დასცალდა მიწის კერძო მესაკუთრეთათვის უკანონოდ წართმეული მიწის ნაკვეთები გამოეყენებინა პორტის ასაშენებლად 2012 წლის 1 ოქტომბერს აჩევნებში განცდილი მარცხის გამო, მაგრამ ეს მიწები დღემდე აღრიცხულია ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე“ — განაცხადა ამხანაგობა „თოლიას“ თავმჯდომარემ დაზმირ ვეკუამ. 2012 წლის შემდეგ ამხანაგობა „თოლიამ“ არაერთხელ მიმართა შესაბამის სამსახურებს კანონიერებისა და სამართლიანობის აღსადგენად, მაგრამ ამაოდ. ამხანაგობის წევრები ითხოვენ, სააკაშვილის რეჟიმის მიერ მათგან ძალადობით წართმეული მიწის ნაკვეთები დაუბრუნდეთ მათ კანონიერ მფლობელებს, ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კომპენსაცია გადაეცეს მიწის კერძო მესაკუთრეთა ოჯახებს.

ლადო ქირია,
ანაკლია-ზუგდიდი-თბილისი

თხილის ბიზნესი ყუაზე დავიდა, პრობლემა აქვს დაფნასაც

თხილი წამყვანი საექსპორტო პროდუქტების სიიდან ამოვარდა. სხვადასხვაგვარმა დაავადებამ მეურნეობისა და ბიზნესის ეს მიმართულება ყუაზე დაიყვანა. სხვათა შორის, იგივე ემუქრება ციტრუსსაც და დაფნასაც, რომლის მოშენება და წარმოება ბოლო დროს ისევ პოპულარული გახდა.

ქართული თხილის ექსპორტი შემცირდა, შესაბამისად, შემცირდა ამ პროდუქტის წილი მთლიან ექსპორტში. **2017 წლის იანვარსექტემბერში უცხეთის ბაზრებზე სულ 50,5 მლნ დოლარის თხილი გავიდა, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 116,6 მლნ დოლარს აჭარბებდა. მიუხედავად ამისა, თხილი კვლავ ინარჩუნებს წამყვან საექსპორტო ათეულში ბოლო ადგილს, თუმცა შარშანდელი 7,7%-ის ნაცვლად მისი წილი ექსპორტში მხოლოდ 2,6%-ით განისაზღვრა და მკვეთრად არის შემცირებული.**

ექსპორტის შემცირების მიზეზი, სავარაუდოდ, უხარისხო მოსავალია. სპეციალისტები ფერმერებს მომავალ წელს თხილის ხარისხიანი მოსავლის მისაღებად ურჩევენ, გარკვეული ღონისძიებების გატარება შემოდგომიდანვე დაიწყონ. როგორც სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის დეპარტამენტის უფროსმა **ზურაბ ხიდეშელმა** განაცხადა, **მათი რეკომენდაციაა, გვიანი შემოდგომის პერიოდში თხილის ბაღები დაზიანებული ტოტებისგან გაათავისუფლონ და სპეციალური პრეპარატით შეწამლონ.**

„რეკომენდაციები მდგომარეობს იმაში, რომ ფიტოსანიტარიული ღონისძიებები გატარდეს — მცენარის გასხვლა, დაზიანებული კვირტებისგან გათავისუფლება მოხდეს. აღსანიშნავია, რომ სოკოვან და ბაქტერიულ დაავადებებსაც შეუძლია თხილის გულის დაზიანება. ორივე დაავადების წინააღმდეგ გამოიყენება ერთი და იგივე, ამ შემთხვევაში სპილენძის შემცველი პრეპარატი. ფერმერებს ვურჩევთ, რომ ამ საერთო პრეპარატებით ახლავე ებრძოლონ დაავადებებს“, — განაცხადა ხიდეშელმა.

მისივე თქმით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, თხილის როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლის მკვეთრი ვარდნა მხოლოდ ფაროსანას ბრალი არ არის და ეს, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა დაავადებით, განსაკუთრებით კი, სოკოვანი და ბაქტერიული დაავადებებითაა განპირობებული.

დასავლეთ საქართველოს დამაქცევარმა მწერმა შეიძლება ისეთ საქმიანობასაც შეუშალოს ხელი, როგორიც დაფნის ექსპორტია. მიუხედავად იმისა, რომ **ფაროსანა დაფნას არ ჭამს, ექსპორტიორებს მაინც დიდ თავსატეხს უჩენს.** კომპანია „აგროლენდის“ დირექტორი **გიორგი ნადარაია** აცხადებს, რომ **მავნებელი დაფნაში იბუდებს, რაც ფოთლის დამუშავებას ხელს უშლის.**

„ფაროსანა დაფნას არ ჭამს, თუმცა ზამთარში იბუდებს და ბუჩქებში იზამთრებს. როდესაც კომპანია დაფნას გლეხებისგან იბარებს, ექსპორტის დროს თუ ფოთოლს სხვა ქვეყანაში მავნებელი გაჰყვა, იქაური ფიტოსამსახური სერიოზულ პრობლემას ქმნის. შეიძლება პროდუქცია უკან არ გამოაბრუნონ, თუმცა მის დამუშავებას აუცილებლად მოითხოვენ. ეს კი ჩვენნაირი კომპანიებისთვის ხარჯიანი იქნება“, — განაცხადა ნადარაიამ და აღნიშნა, რომ თუ მავნებელთან დაკავშირებული პრობლემა არ მოგვარდა, შემცირდება საექსპორტო პოტენციალი.

სურსათის ეროვნული სამსახურის უფროსის მოადგილე **ზურაბ ლიპარტია** „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ სააგენტო მხოლოდ რეკომენდაციით შემოიფარგლება და ამ შემთხვევაში დაფნის შემოწმება თავად მეწარმემ უნდა განახორციელოს.

„ტვირთის ფორმირებისას ჩვენი ინსპექტორები ამოწმებენ და სერტიფიკატს გასცემენ, თუმცა დაფნა ფიტოსანიტარიული თვალსაზრისით დაბალი რისკის პროდუქციაა. ხმელ დაფნაზე სერტიფიკატი არ მოითხოვება, დსთ-ს ქვეყნები არც ითხოვენ, თუმცა შეიძლება ფაროსანა სატრანსპორტო საშუალებას გაჰყვეს. ამიტომ ჩატვირთვის დროს ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ“, — აცხადებს ლიპარტია.

გელა დანელია

„გირჩი“, რომლებმაც უარი თქვეს ტერმინზე — „ნაციონალური მოძრაობა“. მაგრამ არც ამ განშტობებს არ მიუციათ შეფასება განვლილი 9 წლისთვის. ამიტომ არის მათდამი ნდობის ხარისხი საკმაოდ დაბალი. ასე რომ, ამ პარტიებს ბევრ რამეზე მოუწევთ დაფიქრება.

— ამ შემთხვევაში აქციის მიზანი რა შეიძლება იყოს?

— მხარდამჭერთა 17% ჰყავს „ნაციონალურ მოძრაობას“ და ამ პროცენტს დააყენებს ქუჩაში. ქუჩაში ეს რაოდენობა უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე საარჩევნო ყუთთან. გამოკითხვის შედეგებს თუ გავიხსენებთ, კითხვაზე — **რომელი პარტია არის ყველაზე მიუღებელი და რომელ პარტიას არ მისცემთ არავითარ შემთხვევაში ხმასო, იქ „ნაციონალური მოძრაობა“ იყო ლიდერი.** ასე რომ, ის ადამინები, რომელთათვის მიუღებელია „ნაციონალური მოძრაობა“, უფრო მეტ მობილიზაციას გამოიჩენენ და უფრო მეტ უკუძალას გააჩენს მათთდამი დაპირისპირება. ამიტომ ვამბობ, რომ მათ სტრატეგიები აქვთ შესაცვლელი.

— ამ პარტიის მთავარი სტრატეგია არის ქუჩაში გამოსვლა და დესტაბილიზაცია...

— მით უმეტეს, როცა მიზანი არის, სახლში გაუშვან ხელისუფლება, რომელიც ხალხს მოსწონს და მოვიდეს ის ხელისუფლება, რომელიც ხალხს არ მოსწონს. ეს არის ოდიოზური დაპირება. ამ მიზანს აყენებს „ნაციონალური მოძრაობა“. ამითი გააქტიურდება „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ მიმართული ძალა და ეს ძალა ყოველთვის თავის საწინააღმდეგო ძალას აჩენს. შეიძლება მათთვის დამთავარდეს არასახარბიელოდ ეს პროცესი — ისედაც ქუჩაში ვერ გამოდიან.

იმ შემთხვევაში, თუ ისე დარჩა ყველაფერი, როგორც ახლა არის, საპარლამენტო არჩევნებზე კიდევ უფრო მცირე ძალები ეყოლება „ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტში.

გაიხსენეთ ნარმანია-მელიას დაპირისპირება. მაშინ უფრო მაღალი იყო ამ პარტიის პროცენტული მაჩვენებელი, ვიდრე ახლა არის. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ პარტია გაიყო და ამომრჩეველთა რაღაცა ნაწილი სხვა პარტიისკენ წავიდა. მაგრამ არის კიდევ სხვა მანიშნებელი, ერთ-ერთი არის ბიზნესმენები, რომლებიც ფინანსურ რესურსს არ აბანდებენ „ნაციოანლურ მოძრაობაში“ და თან მათივე ერთგული ბიზნესმენები, ვგულისხმობ დავით კეზერაშვილს. ასე რომ, პრინციპში „ნაციონალური მოძრაობის“ ყველა ნაბიჯი წამგებიანია.

— ხელისუფლებაში დაბრუნების ერთერთ შესაძლებლობად განიხილავენ მომდევნო საპარლამენტო არჩევნებს. იმ შემთხვევაში, თუკი პარტია არ გადახედავს თავის სტრატეგიას, როგორ ფიქრობთ, ეს წამგებიანი ნაბიჯები უფრო და უფრო შეუმცირებს მხარდამჭერებს?

— კიდევ ერთმა მომენტმა შეიძლება შეასრულოს როლი. კერძოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ძირითადად პერსონალურად მიხეილ სააკაშვილზე ორიენტირებული ამომრჩეველია. ამ დროს სააკაშვილი ნელ—ნელა ზურგს აქცევს როგორც ქართულ პოლიტიკას, ისე **„ნაციოანლურ მოძრაობას“ და იძახის, ჩემი სამშობლო უკრაინა არისო. „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი სააკაშვილისთვის საინტერესო რომ ყოფილიყო, ის უდუმაშვილს არ აუნთებდა მწვანე შუქს. უდუმაშვილი მოსაგები ფიგურა არ არის, უდუმაშვილი წასაგებად განწირული ფიგურაა.**

პოლიტიკური ფიგურებიდან არც ერთი არ წამოაყენეს. სავარაუდოა, რომ მომავალში სააკაშვილის მხრიდან ნაციონალებისკენ ზურგით შეტრიალება კიდევ უფრო მკვეთრი იქნება. გამომდინარე იქიდან, რომ სააკაშვილი თვითონ არის მოწყვეტილი „ნაციონალურ მოძრაობას“ და, ფაქტობრივად, უარს ამბობს ამ პარტიაზე, სააკაშვილზე ორიენტირებული ამომრჩეველიც შეიძლება დაკარგოს „ნაციონალურმა მოძრაობამ“. ასე რომ, „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკაში დარჩენის შანსს კარგავს.

— ამომრჩევლის ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება ყველა პარტიას ეხება?

— რა თქმა უნდა. ალბათ, უნდა დადგეს საკითხი, რომ „სახლში წავიდნენ“ ის ოპოზიციური პარტიები, რომლებსაც არასდროს გაუმარჯვიათ. ძალით პარტიას სახლში ვერ გაუშვებ, დანამუსების რეპლიკები უფრო გვაქვს. თვითმმართველობის არჩევნებში კიდევ უფრო უარესი შედეგები აჩვენა ზოგიერთმა პარტიამ, ვიდრე აქამდე იყო. გამონაკლისი არის „ევროპული საქართველო“, რომლის ასეთ წამოწევას ბევრი არ ელოდა. უამრავ სხვა პარტიასთან ან იგივე სურათი გვაქვს, რაც წინა არჩევნებზე გვქონდა, ან — ცოტათი უარესი. ერთი და იგივე სახეებს ვუყურებთ, დიდი ხანია — ბევრმა წარმატებულმა პოლიტიკოსმა დატოვა პოლიტიკური არენა, მაგრამ ბევრი, დაბალი პროცენტების მიუხედავად, ისევ რჩება პოლიტიკაში.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

ნეტავ რა გველის?

25 სექტემბრით დამთავრდა ამა წლის ცხელი ზაფხული და პირდაპირ დაიწყო ზამთრის ცივი და წვიმიანი დღეები. თითქმის ოცი, ოცდახუთი გრადუსით დავარდა ტემპერატურა, თუმცა, ცხელი ზაფხული კვლავ გრძელდება ჩვენს ქართულ პოლიტიკაში. ჰა და ჰა, სადაც არის ადგილობრივი არჩევნების დღეც მოგვიახლოვდა და ნაადრევად შემოსული ზამთრის საღამოებს კვლავაც „გვიმხიარულებენ“ უამრავი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები.

თუმცა, მანამ ორიოდე სიტყვა თბილისობის დღესასწაულზეც მინდა გითხრათ. ვიცი ის, რომ შაბათს და კვირას (7 და 8 ოქტომბერი) ანუ ჩვენი საყვარელი ქალაქის საზეიმო დღეებზე ბუნებამ სასწაული მოახდინა და წკრიალა ცით და ნამდვილი შემოდგომის მზის თბილი, მოსიყვარულე სხივებით დაგვიმშვენა თბილისი. მაგრამ, როგორ დაამშვენეს ეს დღესასწაული თავად ზეიმის მესვეურებმა, ეს კიდევ მეორე საკითხია. თუმცა, რატომ მეორე, ალბათ — პირველი. ჩემდათავად, ვიტყოდი რომ ვერ ვისწავლეთ ამ მშვენიერი დღის — „თბილისობის“ აღნიშვნა თითოეული თბილისელის სამხიარულოდ, სასიხარულოდ და საზეიმოდ. თუ გლდანი და მუხიანი, ვაკე და საბურთალო და დანარჩენი რაიონები თბილისია, რატომ არ უნდა გრძნობდეს ქალაქის ნებისმიერ წერტილში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანი ამ ზეიმს. რატომ არ უნდა ჰქონდეს ქალაქს თანაბრად საზეიმო ელფერი, ეს ხომ სრულიად დედაქალაქის ზეიმია და არა რომელიმე თეატრის სპექტაკლი? განა რაიონებს არ გააჩნიათ მატერიალური თუ, გნებავთ, ინტელექტუალური რესურსი ამ ძვირფასი დღის აღსანიშნავად წელიწადში ერთხელ მაინც, რომ ნამდვილი ზეიმი მოაწყონ? თითოეულმა რაიონმაც რომ წარადგინოს ქალაქის საპატიო წოდებაზე თავისი წარმომადგენელი, ეს ფაქტიც დიდ ინტერესთან ერთად მოსახლეობის მეტ ჩართულობას გამოიწვევდა ამ საყოველთაო ზეიმში. ახლა კი რა გამოდის? კარგია რიყეზე სახელდახელოდ გამზადებული მწვადების მირთმევა, ან ევროპის მოედანზე გამართულ კონცერტზე დასწრება, მაგრამ ეს არ არის ის, რასაც ქალაქელთა ზეიმი ჰქვია...

სამაგიეროდ, საყოველთაო ზეიმს, ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსები მასკარადების სახით ხშირად გვიმართავენ ქალაქის ნებისმიერ კუთხეში. თუმცა, მათაც აქვთ ამოჩემებული საყვარელი ადგილები: ცენტრალური პროსპექტები, რუსთაველის ძეგლის მიდამოები, საკრებულოს შენობის მიმდებარე ტერიტორია და ძალიან უყვართ, აგრეთვე,. მთაწმინდაზე, ბატონ ბიძინა ივანიშვილის საცხოვრებელ შენობასთან შექუჩებაც. აი, ამ ტერიტორიებიდან ბევრ საინტერესო და „სამხიარულო“ სანახაობებს უცქერენ დედაქალაქელები და არა მარტო ისინი სხვადასხვა ტელეარხების საშუალებით. ამას წინათ, ერთ-ერთ გადაცემაში რადიოს ერთი ერთგული მსმენელი (ბევრი ჩვენგანი — რადიოსმოყვარული კარგად იცნობს ამ ძვირფას ქალბატონს) გაკვირვებული და შეშფოთებული ეკითხებოდა კორესპონდენტს, თუ ღმერთი გწამთ, ამიხსენით, რა ჭირთ ამ ჩვენს პოლიტიკოსებს, პოლიტიკოსობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ჭიდაობა კი კარგი სცოდნიათ თურმე, რა სეირების მომსწრენი გაგვხადეს, ან ქალებს რა დაემართათ, მამაკაცებს, რომ ზურგზე ახტებიანო... მწარედ გამეცინა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ მინახავს ეს სურათი! აი ასეა, აგზნებულები არიან და რას არ სჩადიან, ყველა ზომას და ხერხს მიმართავენ და ამ დროს სრულებითაც ვერ ზომავენ, საზღვარს სცდებიან, „ცირკაჩობა“ და პოლიტიკოსობა ძალიან შორს რომ არის ერთმანეთისგან — ამასაც ვერ აცნობიერებენ! ასეთ მშვენიერ „შოუებს“ ხომ გვიწყობენ, შემდგომ ამისა, სრულიად წყნარად და მშვიდად, უფასო თუ ფასიან რეკლამებში ისე ბრძნულად გვესაუბრებიან, პატიოსანი, წესიერი, ლამაზი ცხოვრების პირობებისა და გარემოს შექმნას გვპირდებიან, უშევარდნაძეოდ გაცხოვრებთო (ძალიან გამკვირვებია ამ პარტიისაგან, რა დროს შევარდნაძეა!. ისე კი, შევარდნაძისაგან თავად მათ ზოგი-ერთი რამ რომ ესწავლათ, არ იქნებოდა ურიგო!) აი, ასეთ ორომტრიალში მიდის დღეები. კარგს და ახალს არაფერს ველით. ან რას უნდა ველოდოთ მას შემდეგ, რაც ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში გვანახეს. ძალიან მძიმედ, კუს ნაბიჯებით მივდივართ და ჯერაც ვერ გაგვიგია — წინ თუ უკან! ძალიან გვანან პოლიტიკოსები ერთმანეთს... ძნელია, მათგან გამოარჩიო განსხვავებული, საიმედო და სამომავლო... ამ რამდენიმე წლის წინ გვეგონა, კი ვიპოვეთ ის, ვინც გვჭირდებოდა. იმედმოცემულებმა ვითომ ავირჩიეთ ასარჩევი. შეიქმნა ჯგუფი, ეგრეთ წოდებული კოალიცია და დაიწყეს ქვეყნის მართვა, მაგრამ არა ისე, როგორც გვპირდებოდნენ და როგორც ხალხს სურდა... რამდენიმე წელიც და ეს ჩვენი კოალიცია ბრინჯივით დაიფანტა. მართლაც საინტერესოდ დაიფანტნენ: ზოგი ოპოზიციონერებად, ზოგიც პოზიციას მიუერთდა. საოცარი დაფანტვა იყო, პრეზიდენტიც კი დაფანტულებში აღმოჩნდა, დანარჩენებზე რომ არა ვთქვათ რა! ასეთი გუნდი როგორ გარდაქმნიდა ქვეყანას, როგორ მონახავდა იმ გზას, რომელიც ბოლოს და ბოლოს ტაძარში შეგვიყვანდა!

ძნელია ყოველივე ეს, ძნელია, რადგანაც ქვეყნის მართვას განსაკუთრებული ცოდნის გარდა ის ხასიათიც სჭირდება, ხალხისკენ რომ მიგახედებს, ხალხის ჭირს და ვარამს რომ გაგაყოფინებს. ცოდნა და ხასიათი — ორივე ერთად და თანაბრად უნდა ჰქონდეს პოლიტიკოსს, სხვანაირად არაფერი გამოვა და არც გამოვიდა. მათხოვრადქცეული ხალხი საჭმელს ნაგავში ეძებდეს და შენ, მისი პატრონი, მისი ადამიანური ცხოვრების პირობების შექმნაზე პასუხისმგებელი წელიწადში მილიონს ღებულობდე ხელფასის სახით... არა, არაფერი გამოვა ასეთი ურთიერთობით. მაძღარმა რომ მშიერს გაუგოს, იშვიათია ასეთი რამ და ასეთი იშვიათები საუკუნეში ერთი და ორი თუ გამოჩნდებიან მხოლოდ. ერთი ჩვენთანაც გამოჩნდა, ჩვენს დროშიცო, — ასე ამბობენ, მაგრამ ხომ ვიცით, რომ ერთი კაცი საქმეს ვერ უშველის, მით უმეტეს, პოლიტიკაში გაწვრთნილი თუ არ არის! შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ სწორედ იმ სიქველესთან შეზავებული სიმდიდრისთვის გადაეკიდნენ იმ ერთს (შურმა თავი დააკარგვინა ბევრს!) და დღემდე მის განქიქებაში არიან და როგორ მერე! რას არ უგონებენ, სიკეთეს სიბოროტედ უქვეყნებენ ტრიბუნებზე შემდგარნი, ვითომ პოლიტიკოსები. იმის ლანძღვა-გინებით, რომ გულს მოიოხებენ მერე, ხალხისკენ იბრუნებენ პირს და ზღაპრული ქვეყნის აშენებას ჰპირდებიან. რა ვქნათ, როგორ დავუჯეროთ, რომელი მაგალითი მოვიშველიოთ მათი ნდობის გამოსაცხადებლად.

მინდა ჩვენ ხალხსაც გადავხედო. ამას წინათ, ერთი, ვითომცდა კარგად აწყობილ „სუპერმარკეტში“ შესვლა მოვინდომე, შესასვლელში ლამის კისერი მოვიტეხე, ტროტუარზე ისე იყო ფილები ამოცვენილი და დამტვრეული. ხალხი მაინც მოდის და პროდუქტს კი ყიდულობსო და... არ ჩქარობს ტროტუარის შეკეთებას „სუპერმარკეტის“ მეპატრონე. ან იქნებ, სულაც, მთავრობას ელის... იქვე ხილ-ბოსტნეულის თაროებზე გამწვანებული კარტოფილი უხვად აწყვია. — ეს ხომ საწამლავია! შეიცხადა ერთმა მომხმარებელმა. ქიმიკოსი აღმოჩნდა, პროფესორი. ასეთი უმსგავსოების გასაპროტესტებლად ყველა ქიმიკოსი ხომ არ უნდა იყოს.

ჩვენი ქალაქის ყოფის მსგავს უწესრიგობებს რა ჩამოთვლის. კი ვცხოვრობთ ქალაქში (თუნდაც სოფელში), მაგრამ არ ვიცით, როგორ უნდა ვიცხოვროთ, როგორ უნდა გავიაროთ, სად როგორ მოვიქცეთ, რა მოვითხოვოთ და რა მოვთხოვოთ საკუთარ თავს. სწორია ის, რაც ამას წინათ მოვისმინე (რადიოგადაცემიდან) — ჩვენ მცხოვრებლები ვართ და არა ერიო.... თუმცა, ეს კიდევ უფრო მძიმე საკითხია. ამჯერად ვიტყოდი, რომ ხალხი კი ვართ, მაგრამ არა მოქალაქეები.

ქვეყანაზე ყველაფერი, როგორც მატერიალური, ასევე სულიერი დროის მსვლელობის განმავლობაში ცვდება და კვდება კიდეც თუ არ მიხედე, თუ არ გაანახლე. ხომ კარგად ვიცით, რომ არა ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქის სხვა დიდი მოაზროვნეები, საქართველო თავისი კულტურით და სულიერებით ხელში შემოგვადნებოდა... მათ გააახლეს და ააღორძინეს ჩვენი ქვეყანა. დღესაც იგივე გასაჭირის წინაშე ვდგავართ! ნელ-ნელა იღვენთება ილიას დანთებული სანთელი. დროზე უნდა შველა, თორემ ვინ იცის, რა დაგვემართება! განათლების საკითხებია საქართველოში მოუგვარებელი და ამას დიდი ყურადღება, დიდი შრომა და ზრუნვა სჭირდება.

აი ასეთია (და კიდევ უფრო მუქი!) ჩვენი დღევანდელობა.

ნეტავ, რა გველის?

გულნარა სტურუა

საერთაშორისო შეხვედრა ოზონის შრის დაცვის თემაზე

სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში ოზონის შრის დაცვის თემაზე საერთაშორისო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის პირველმა მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა და გაეროს ელჩმა საქართველოში ნილს სკოტმა მიმართეს. მხარეებმა ოზონდამშლელი ნივთიერებების მოხმარებიდან ეტაპობრივად ამოღების მართვის გეგმები და მაღალი გლობალური დათბობის პოტენციალის მქონე აირების მოხმარების შემცირების ინიციატივები განიხილეს. ასევე, ოზონის შრის დაცვის მიმართულებით ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს.

შეხვედრას უკრაინის, მოლდოვის, ბელარუსის, სომხეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები, ასევე, საერთაშორისო განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები და საერთაშორისო ექსპერტები ესწრებოდნენ.

საქართველო მოგზაურობისთვის საუკეთესო 10 ქვეყანას შორისაა!

უმსხვილესი საერთაშირისო სამოგზაურო მედია პლატფორმამ Lonely Planet-მა საქართველო 2018 წლის სამოგზაურო ქვეყნების ტოპ-ათეულში შეიყვანა.

Lonely Planet ყოველწლიურად აქვეყნებს მომდევნო წლის საუკეთესო მიმართულებებს, სადაც 2018 წლისთვის ერთ-ერთ საუკეთესო მიმართულებად საქართველო დასახელდა. ინფორმაცია გავრცელდა Lonely Planet-ის ყველა მედიასაშუალებით.

მთავარი კრიტერიუმი ქვეყნების მრავალფეროვანი ფლორა, ავთენტური არქიტექტურა და გემრიელი სამზარეულოა. Lonely Planet საქართველოზე წერს, რომ ეს არის მომავალზე ორიენტირებული უძველესი ქვეყანა სამხრეთ კავკასიაში, რომელიც ამავდროულად უდიდეს პატივს სცემს თავის წარსულსა და ტრადიციებს.

„საქართველო ღვინისა და უძველესი კერძების ქვეყანაა, რომელიც მხოლოდ მომავლისკენ იყურება. მისი უძველესი ისტორია და კულტურა არა მხოლოდ წარსულია, არამედ აწმყო. ქართული ღვინო იმდენად საამაყოა ამ ქვეყნისთვის, რომ ხშირად მესაზღვრეები აეროპორტში წითელი ღვინით ხვდებიან ჩამოსულ სტუმრებს“ — წერს Lonely Planet. Lonely Planet წარმოადგენს საერთაშირისო უმსხვილეს სამოგზაურო მედია პლატფორმას. იგი მოიცავს საერთაშორისო გზამკვლევების სერიას, წიგნებს და ონლაინ პლატფორმებს. კომპანია დაარსდა 1972 წელს და დღეს ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უჭირავს თავის სფეროში. სტატიებზე, ბლოგებზე და გამოცემებზე მუშაობს 200-მდე ავტორი. მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს იტალიაში, ქალაქ რომში ჩატარდა Lonely Planet-ის ყოველწლიური ღონისძიება „Best in Travel“. აქ იკრიბებიან საერთაშორისო მედიის და ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან. აღსანიშნავია, რომ Best in Travel 2017-ზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ქვეყნის პრეზენტაცია წარადგინა და დამსწრე საზოგადოებას საქართველოს ტურისტული პოტენციალი გააცნო.

განცხადება

2017 წლის 18 დეკემბერს, 13 საათზე, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: დაბა ასპინძა, თამარის ქ. №3), ხოლო 16 საათზე ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. №2) გაიმართება მტკვარი ჰესის მშენებელობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს, ასპინძის და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე 55 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - დაბა ასპინძა, თამარის ქ. №3;**
- **ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. ახალციხე, შ. ახალციხელის ქ. №2;**
- **შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს: ჯულიეტა ახვლედიანი. ტელ: 2 60 15 27; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge;

გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის ვადაში.

შპს „მტკვარი ჰესი“-ს ადმინისტრაცია

კიდევ ერთხელ მიწის საკითხზე

ღია წერილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს! საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს!

ბატონებო!

2017 წლის 21 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების ოფიციალური მონაცემებით, თქვენმა პოლიტიკურმა გუნდმა მოიპოვა საქართველოს (კონტროლირებად ტერიტორიაზე) ადგილობრივი თვითმმართველობის სრული ძალაუფლება. გილოცავთ ამ გამარჯვებას!

გამარჯვების ბუნებრივ-დადებით ემოციურ ფონზე, იმ იმედით, რომ ეს მდგომარეობა კეთილად აისახება შემდგომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, **კიდევ ერთხელ** მოგმართვთ ე.წ. მიწის გასხვისების მორატორიუმის თაობაზე.

როგორც მოგეხსენებათ, **2017 წლის 16 ივნისს** მიღებული იქნა კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (https://matsne.gov.ge/ka/document/view/3707384), რომლის მიხედვითაც **„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის“ ამოქმედებამდე,** შეჩერებულ იქნა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ ნორმის მოქმედება, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებას ანიჭებს უცხოელს, საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირსა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უცხოელის მიერ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

ეს იყო არა უბრალო კანონი, არამედ ეს იყო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის დროს მთავარი კონსენსუსის — მიწის ორგანული კანონით — „მიწის კოდექსით“ დარეგულირების შეთანხმება.

ამ შეთანხმების დარღვევით, საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის 20 სექტემბერს პირველი წაკითხვით მიიღო „სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის მიხედვითაც შეზღუდვები არის ყველასთვის, გარდა ბანკებისა და მთავრობისათვის, ანუ კანონმდებელმა საზოგადოებას შესთავაზა იმის გაგრძელება, რაც იყო მორატორიუმამდე. ნიშანდობლივია, რომ საპარლამენტო განხილვის დროს ამ ჩამონათვალს დაემატა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

დღეისათვის, როდესაც საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები დამტკიცებულია, აღნიშნული კანონ-პროექტი აზრს კარგავს, რადგან ქართული მიწის გაყიდვა კვლავ სრულიად თავისუფალია!

თქვენ ყურადღებას კიდევ ერთხელ მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ მორატორიუმი, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის“ **ამოქმედებამდე** განსაზღვრული ვადით იყო დადებული (https://matsne.gov.ge/ka/document/view/3707384)! საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია კი უკვე ძალაშია, ე.ი. **მორატორიუმის ვადა ამოწურულია!!!**

საქართველოს კონსტიტუცია ახალ რედაქციაში მიწის საკითხის დამარეგულირებელი ორგანული კანონის მიღებას ითვალისწინებს, მაგრამ რა ხდებოდა ამ კანონის მიღებამდე? მანამდე ხომ კვლავ სრული სამართლებრივი განუკითხაობის ახალი პერიოდი დაიწყო? **ამიტომ მოგიწოდებთ გაახანგრძლივოთ მარატორიუმის ვადა ორგანული კანონის — „მიწის კოდექსის“ — მიღებამდე!**

ვშიშობთ, არ განმეორდეს 2013 წლის ისტორია, როდესაც წლის ბოლომდე მიწის გაყიდვის მორატორიუმს მიწის კანონმდებლობის შექმნა უნდა მოჰყოლოდა. სინამდვილეში მიწის კოდექსი არ შეიქმნა, ხელისუფლებამ დაარღვია მორატორიუმი დროებითი წესებით. შედეგად — დღემდე მიწის ყიდვა-გაყიდვა სრულად თავისუფალ ბაზარზეა მინდობილი მსოფლიოში ერთადერთ ქვეყანაში — საქართველოში.

როდის იქნება მზად მიწის კოდექსი? როდის დასრულდება ქართული მიწით სპეკულაცია და მევახშეების საზრდოობა?

ხომ არ მოხდება ისე, რომ გაიყიდება ის დარჩენილი მიწაც, რაც ჯერ კიდევ შემორჩა და შემდეგ მივიღებთ მიწის კოდექსს უკვე ახალ — ქართველების ჩამნაცვლებელი მესაკუთრეების დასაცავად?

მოგიწოდებთ, საზოგადოებას აცნობოთ ხელისუფლების მკაფიო პოზიცია, თუ როდის აპირებთ მიწის კოდექსის მიღებასა და რა გზებით აპირებთ მიწის გაფლანგვისა და უმიწო ქართველების (სამშობლოში ხიზანთა) ჩამოყალიბების პროცესის შეჩერებას.

თქვენ ეს შეგიძლიათ, ეს თქვენ მოღვაწეობის სამომავლო შეფასებაში გადამწყვეტი მომენტის მნიშვნელობის საკითხია.

მოგიწოდებთ, გამოიყენოთ აღნიშნული შანსი, შექმენით წარმატების ისტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში მიწაწართმეულ ქართველთა ხვედრის გამო სრული პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ.

პატივისცემით,

მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი), მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), დეკანოზი თევდორე (ამბროლაძე), გოგოლა მარგველაშვილი (აკადემიკოსი), თინათინ ჩხეიძე (პროფესორი), ეთერ ხარაიშვილი (პროფესორი), გიგა ბათიაშვილი (აკადემიკოსი), პაატა კოღუაშვილი (აკადემიკოსი), ჯემალ კაციტაძე (აკადემიკოსი), თემურ კანდელაკი (პროფესორი), პარმენ ლემონჯავა (პროფესორი), რეზო მანველიძე (პროფესორი), გივი თალაკვაძე (პროფესორი), ანზორ მესხიშვილი (პროფესორი), ვლადიმერ (ლადო) პაპავა (აკადემიკოსი), გიზო ურუშაძე (აკადემიკოსი), ავთანდილ სილაგაძე (აკადემიკოსი), ნოდარ ჭითანავა (აკადემიკოსი), გივი გუცხრიკიძე (პროფესორი), რევაზ გოგოხია (პროფესორი), ბადრი რამიშვილი (პროფესორი), ჯუმბერ ფანჩულიძე (პროფესორი), ნაუმ ტურაბელიძე (პროფესორი), ნიკოლოზ ჩიხლაძე (პროფესორი), გურამ ყუფუნია (პროფესორი), ზაურ ჯინჯოლავა (პროფესორი), მიხეილ ჯიგუტი (პროფესორი).

ლარის გაუფასურება არჩევნებს უკავშირდება!

ექსპერტები ლარის ვარდნის გაგრძელების შემთხვევაში ქვეყანაში პროდუქტებზე ფასების მატებას პროგნოზირებენ და ეროვნული ბანკისგან განმარტებებს ელოდებიან. მათი აზრით, ლარის კურსზე ნეგატიურად იმოქმედა წინასაარჩევნოდ დახარჯულმა ფულმა, ტურისტული სეზონის დასრულებამ და ბიუჯეტურმა ხარჯვამ.

„ბიზნესი, რომელსაც სჯეროდა, რომ ლარი იყო სტაბილური ვალუტა, თუნდაც ბოლო პერიოდის განმავლობაში და ისინი უბრალოდ სავალუტო ოპერაციებს არ ახორციელებდნენ, მათ დღეს, არჩევნების შემდეგ, შესაძლებელია გაზარდონ მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, რადგან შეიძინონ იმის შიშით, რომ კიდევ უფრო არ გაუფასურდეს ვალუტა. ეს იმას ნიშნავს, რომ ლარმა შეიძლება იმაზე უფრო გაუფასურებული ნიშნული აჩვენოს, ვიდრე ეს საბაზრო მაჩვენებელი იქნება,“ — აცხადებს ირაკლი ყიფიანი.

ჩვენთან მოქმედებს მცურავი კურსი!..

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კობა გვენეტაძის განცხადებით, ცენტრალური ბანკის მთავარი ფუნქცია დაბალი და სტაბილური ფასების შენარჩუნებაა.

„არავისთვის არის ახალი, რომ ჩვენთან მოქმედებს მცურავი კურსი, ამიტომ, ლარი ხან გაუფასურდება, ხან გამყარდება. მე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ეროვნული ბანკი არ აკეთებს კომენტარს კურსის მოკლევადიან რყევებთან დაკავშირებით“, — განაცხადა კობა გვენეტაძემ.

ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხის 161 ფაქტი სამცხე-ჯავახეთში

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის 25 აგვისტოდან 24 ოქტომბრის ჩათვლით, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხის 161 ფაქტი გამოავლინეს, ხოლო ხე-ტყის პირველადი გადამმუშავებელი ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევის ფაქტზე 20 პირი ამხილეს.

სამართალდამცველებმა ბორჯომის, ადიგენის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, ახალციხის და ასპინძის რაიონებში, მხილებულების ავტომანქანებიდან უკანონოდ მოპოვებული ხის მრგვალი მორები და სამასალე ფიცრები ამოიღეს. პოლიციამ ადიგენში, ახალციხეში, ბორჯომსა და ასპინძაში გამოვლენილი უკანონო სახერხი საამქროები, ასევე, ავტომანქანები დალუქა.

ამოღებული ხის მასალა გადაგზავნილია შესაბამის ექსპერტიზაზე.

„ქართული ეროვნული სამოსის მრავალფეროვნება“ სლოვაკეთში

სლოვაკეთის **რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს საგამოფენო დარბაზში გამოფენის „ქართული ეროვნული სამოსის მრავალფეროვნება“ საზეიმო გახსნა გაიმართა.**

მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სლოვაკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რევაზ გაჩეჩილაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა ქართული ეროვნული სამოსის უნიკალურობასა და მის მნიშვნელობას ქართველი ხალხისთვის.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო XIII-XX სს. ქართული ეროვნული სამოსის ამსახველი ფოტომასალა, ქართული კოსტიუმები და აქსესუარები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სლოვაკეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, სლოვაკეთში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების უმრავლესობის ხელმძღვანელები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ხელოვნების მუშაკები.

საღამო მოეწყო სლოვაკეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებითა და საქართველოს საპატიო კონსულის ნოდარ გიორგაძის მხარდაჭერით.

რადიშ თორდია:

ეს პირველია, რომლის მსგავსი არც არასდროს გვქონია

რამდენიმე დღეში თბილისის ცენტრში თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი გაიხსნება, რომლის მშენებლობა უკვე დასრულებულია და ახლა შიდა სამუშაოები მიმდინარეობს.

ერის კულტურული ცხოვრებისთვის ამ მეტად საგულისხმო მოვლენას ჩვენი გაზეთი აქტიურად ეხმაურება, თავიანთი აზრი უკვე გამოთქვეს ცნობილმა ჟურნალისტებმა, არქიტექტორებმა, მხატვრებმა ახალი მუზეუმის გაჩენის თაობაზე, რომელსაც



თბილისელები „შინაურულად“ უკვე „ჯოხთაბერიძის გალერეად“ მოიხსენიებენ... ამ ჯერზე აზრის გამოთქმა ცნობილ ფერმწერს რადიშ თორდიას ვთხოვეთ.

— თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის გახსნა თბილისში არა მარტო დედაქალაქისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის უდიდესი მნიშვნელობის კულტურული მოვლენაა, რომლის მსგავსი ქვეყნის თანამედროვე და უფრო ძველ ისტორიაში არ ყოფილა. ამ მუზეუმის გაჩენის თავად ფაქტი იმდენად დიდია თავისი მნიშვნელობით და იმ დატვირთვით, რომელსაც იგი დროთა განმავლობაში ყოველ მიზეზგარეშე შეიძენს, იმდენად გამორჩეულია ამ შესანიშნავ წამოწყებასა და ქართულ სახვით ხელოვნებაში განხორციელებულ კიდევ მრავალ სხვა პროექტში კომპანია „მაგთიკომის“ თავკაცის **გია ჯოხთაბერიძის** ღვაწლი, რომ საუბარს ცოტა შორიდან დავიწყებ.

იქ, სადაც ამიერიდან თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი დაიდებს ბინას, უწინ სასტუმრო „ინტურისტი“ იყო, რომლის შენობა, სპორტის სასახლის მიმდებარედ სასტუმრო „აჭარის“ გახსნის შემდეგ, საქართველოს მხატვართა შემოქმედებით კავშირს გადაეცა. სწორედ იქ მოეწყო რამდენიმე შესანიშნავი საგამოფენო დარბაზი მუდმივმოქმედი და პერიოდული გამოფენებისთვის, იქვე განთავსდა კავშირის გამგეობაც, რომლის მდივანი გახლდით იმხანად. შემდეგ, სსრ კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის კვალდაკვალ რუსთაველის პროსპექტზე გაჩაღებული სამოქალაქო დაპირისპირებისას, მხატვართა სახლის დიდი ნაწილი დაიწვა და თუმცა შენობის აღდგენა სავსებით შესაძლებელი იყო, მაგრამ ამ საქმისთვის მხატვართა კავშირს სათანადო სახსრები არ გააჩნდა. დედაქალაქის ცენტრში ამხელა ადგილი კი მავანთათვის, რომ იტყვიან, „მადიანი ლუკმა“ იყო. ჰოდა, ტყუილი დაპირებით გაქნილ საქმოსანთა ერთმა ჯგუფმა ჯერ მხატვართა სახლის დარჩენილი კედლები მიწასთან გაასწორა, მერე კი კავშირს განუცხადა — აქ თქვენი საკუთრება აღარაფერია, მიწა კი ქალაქს ეკუთვნისო... ამის გამო არაერთი სასამართლო პროცესი გაიმართა, მაგრამ გამარჯვება მაინც საქმოსნებს დარჩათ. მართალია, დროთა განმავლობაში ამ მიწის ნაკვეთის უკან დაბრუნება მაინც შევძელით, თუმცა შემდეგ ისევ აგორდა სასამართლო სარჩელების ტალღა, უზენაესმა სასამართლომ საკითხი კვლავ მხატვართა კავშირის სასარგებლოდ გადაწყვიტა, ისეთი ფორმულირებაც კი იყო: „გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“. მაგრამ, იმ საქმოსანთა ჯგუფის ინიციატივით სასამართლო კარუსელი კვლავ დატრიალდა, ოღონდ ამჯერად უკუღმა და იმავე მოსამართლე ქალბატონმა, რომლის საბოლოო გადაწყვეტილებით ქაშუეთის მიმდებარედ მიწის ნაკვეთი რუსთაველის პროსპექტზე მხატვართა კავშირის კუთვნილება იყო და ეს ვერდიქტი „გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა“, იგი ახლა სწორედ იმ საქმოსანთა 30-კაციან ჯგუფს მიაკუთვნა(?!)

თითქოს ამით ყველაფერი უნდა დასრულებულიყო, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, ამ ჯგუფმა ამ ტერიტორიის ათვისება რაღაც მიზეზთა გამო ვერ შეძლო და ეს მოშიშვლებული ადგილი წლების მანძილზე მხოლოდ ღობით შემოკავებული იყო. მერე კი ასპარეზზე გია ჯოხთაბერიძე გამოჩნდა, რომელმაც მრავალი თანამედროვე წარჩინებული მხატვრის არაერთი ნამუშევარი შეიძინა, რითაც, გარდა იმისა, რომ თავად შემოქმედებს ამოუდგა მხარში, მათ ნამუშევრებს ერთიანად მოუყარა თავი და ქვეყანას შემოუნახა. ამას კი, დამეთანხმებით, ქვეყნის კულტურის ისტორიისთვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. როგორც ჩანს, თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმის შექმნა ბატონ გია ჯოხთაბერიძეს იმთავითვე ჰქონდა ჩაფიქრებული და დროთა განმავლობაში ამ საკითხმა წინა პლანზე წამოიწია. ამის პარალელურად, ბატონი გიას ძალისხმევით თითქმის ორი ათეული ქართველი მხატვრის ნამუშევართა უმაღლესი ხარისხის დიდებული ალბომი გამოიცა, რაც მხატვრობის ასევე უდიდესი მხარდაჭერის კიდევ ერთი დასტურია.

ჰოდა, როცა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შექმნის საკითხი რეალურად დადგა, ბატონმა ჯოხთაბერიძემ რუსთაველის პროსპექტზე მიწის ნაკვეთი სწორედ იმ ხალხისგან შეიძინა, ვინც თავის დროზე ის მხატვართა კავშირს წაართვა. შენობის არქიტექტურული პროექტი, როგორც ვიცით, არქიტექტორებს, მამა-შვილ ქურდიანებს ეკუთვნით. შიდა სამუზეუმო სივრცის გასამართავად კი მან საგანგებოდ მსოფლიოში საუკეთესო გერმანელი, მათ შორის, სახვითი ხელოვნებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი განათების სპეციალისტები მოიწვია. მე კარგად ვიცნობ ამ პროექტს, მუზეუმს შესანიშნავი საგამოფენო სივრცე, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საცავი, სარესტავრაციო სახელოსნოები, ასევე მაღალი კლასის სასტუმრო, პარკინგი და კაფე-რესტორანი ექნება.

თუმცა ისიც აუცილებლად მინდა გითხრათ, რომ ასეთ შესანიშნავ პროექტსაც კი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰამქრის“ სახით, რომლებსაც მხატვრები ჩვენი სასიქადულო არქიტექტორების, მწერლების თანადგომით როგორც იქნა გავუმკლავდით. ამასთან დაკავშირებით, აუცილებლად მინდა, აღვნიშნო ჩვენი სახელოვანი არქიტექტორის გიგა ბათიაშვილის დიდი დამსახურება.

ისიც მინდა გითხრათ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც თანამედროვე სახვითი ხელოვნების მუზეუმი დღემდე არ არსებობს. ეს კი, ფაქტობრივად, იმის ტოლფასია, რომ არ გვქონოდა საოპერო და დრამატული თეატრები, კონსერვატორია, უნივერსიტეტი, მეცნიერებათა და სამხატვრო აკადემიები...

ამდენად, ერთგვარი რეზიუმე ისევ იმით უნდა დავიწყო, რაზეც თავში ვილაპარაკე: მთელ მსოფლიოში, თუკი სადმე სახელოვანი ხელოვნების მუზეუმია, მეფეთა ყოფილ სასახლეებშია განთავსებული. ვთქვათ, მადრიდში, პარიზში, ასევე შესანიშნავი შენობები საგანგებოდ აქვთ აგებული მეცენატებს: ამერიკაში ასეთია გუგენჰეიმის, ინგლისში — ვიქტორიასა და ალბერტის, რუსეთში — ტრეტიაკოვის, იტალიაში — უფიცისა და სხვ. საქართველოში კი ასეთი რამ, არც არასდროს გვქონია, ეს პირველი შემთხვევაა.

მიხარია, რომ ბატონმა გია ჯოხთაბერიძემ უდიდესი საქმე გააკეთა ეროვნული კულტურის წინაშე და XX-XXI საუკუნეების ქართველ მხატვართა შემოქმედებას მომავალ თაობებს შემოუნახავს, რითიც საკუთარი სახელი უკვე ჩაწერა სამამულო ხელოვნების ისტორიაში.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

როცა პროექტს არ იცნობენ...

„პანორამა თბილისის“ შესახებ უნდა ისაუბრონ სპეციალისტებმა, რომლებიც დღეს ელიავას ბაზრობაზე ვაჭრობენ!

„პანორამა თბილისის“ შესახებ უკვე იმდენი აზრი გამოითქვა, რომ აშკარაა, ჩამოყალიბებული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს. პოლიტიკოსები პოლიტიკური სპეკულაციისთვის იყენებენ ამ თემას, თუმცა ჩუმად არიან ის ადამიანები, რომელთაც სამშენებლო სფეროში თავისი სიტყვა ეთქმით. გამონაკლისია არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი, რომელიც აცხადებს, რომ ამ პროექტს თავიდანვე დაუჭირა მხარი, რადგან „არ შეიძლება, კარგ საქმეს ცუდი დაარქვან“.

რაც შეეხებათ სხვა სპეციალისტებს, ისინი ამ თემაზე საუბრისგან ან თავს იკავებენ, ან აცხადებენ, რომ არ იცნობენ აღნიშნულ პროექტს. წესით, ამ პროექტის მესვეურთა ინტერესში უნდა იყოს, „პანორამა თბილისის“ ჩანაფიქრი უფრო ფართოდ წარუდგინონ საზოგადოებას. ასეთ შემთხვევაში, კითხვებიც ნაკლები დარჩება და მავანნიც პოლიტიკური აჟიოტაჟისთვის არ გამოიყენებენ ამ თემას.

მშენებლობის მინისტრის ყოფილი მოადგილე, „თბილმშენის“ ყოფილი დირექტორი **ომარ კიკნაძე** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ „პანორამა თბილისს“, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა პროექტს, გეოლოგების, გეოფიზიკოსების, სეისმოლოგების დასკვნა სჭირდება და დღეს ამ დარგის სპეციალისტები ელიავას ბაზრობაზე „შურუპებს“ ყიდიან. ევროპაში სახელგანთქმული ზავრიევის ინსტიტუტი კი მიხურა საკაშვილმა.

რაც შეეხება თაბორის მთისა და პუშკინის სკვერის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს, ომარ კიკნაძის აზრით, თაბორის მთაზე, ამ მთა-ხრიოკზე კაცი თუ რამეს გააკეთებს, სად წაიღებს? ტერიტორიაზე, ცეკავშირის ადგილზე სასტუმროს აშენებდნენ, მაშინ უნდა ეფიქრათ პარკინგზე. დღეს კი იქ ისტორიული სკვერია მოწყობილი, გაივლი, ხანში შესული ხალხი ზის, გამოივლი, ბავშვები სხედან. ამიტომ თბილისს თუ ამოაცლი ამ ადგილს, ის უთუოდ დააკლდება. თუკი სხვა ადგილს გადააკეთებ ევროპულად, ისიც დაკლდება, რადგან თბილისი თბილისია და აქაურ მცხოვრებლებსაც და ტურისტებსაც თბილისის ნახვა სწყურიათ და არა — მიწისქვეშა პარკინგების ხილვა.

„ტერასულ განაშენიანებას ვემხრობი. თუ ვინმე სახურავზეც გააშენებს სკვერს, ამასაც მოვიწონებ. ევროპაში 30 კვ. მეტრი გამწვანება მოდის ერთ სულ მოსახლეზე, თბილისში კი მხოლოდ 3 კვადრატულია. ეს მაშინ, როცა 20 წლის წინათ 12-15 კვადრატული მეტრი იყო. რატომღაც ახლა გახდა 3 კვადრატული, რადგან ვიღაცამ ამით ფული იშოვა. ხომ გახსოვთ, რა ამბები ატყდა ყაზბეგის პროსპექტზე 50 წლის ფიჭვები რომ მოჭრეს შუაღამისას? რა უნდა ელაპარაკო ამისთანა ერს? თუ ვინმე რამეს გააშენებს და ამით ძველი არ დაინგრევა, ამას ყველა უნდა მიესალმოს. თუ ეს სეისმურ, მეწყერულ პროცესებს შეუწყობს ხელს, ესეც უნდა ვიცოდეთ. მაგრამ ეს ქუჩაში მიკროფონით ხელში კი არ უნდა იძახოს ვიღაცამ, არამედ ამის შესახებ უნდა ისაუბრონ სპეციალისტებმა, რომლებიც ელიავას ბაზრობაზე უნდა მოიკითხონ“, — აღნიშნა ომარ კიკნაძემ.

მანანა ნოზაძე

◎ წიგნად შემორჩენილი წარსული

კეთილი სიტყვა „ოქროს ბეჭდის“ ავტორზე

ფუცუ დგებუაძე-ფულარია – 130

მე-20 საუკუნის დასაწყისში, ქართულ მწერლობაში ცოტანი იყვნენ მწერალი ქალები. თუმცა მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორი საუკუნის მიჯნაზე, ბობოქარი პოლიტიკური და სოციალური გარდატეხის ჟამს გაბედულად შემოვიდნენ ლიტერატურაში და წარსულისა თუ თანამედროვე თემების მაღალმხატვრული გაშუქებით გამოკვეთილი კვალი დატოვეს ისტორიაში.

შემოქმედ ქალბატონებს შორის ფუცუ დგებუაძე-ფულარია გამორჩეულია. მან თავიდან მცირე ზომის მოთხრობების გამოქვეყნებით მიიპყრო მკითხველთა ყურადღება. მისეული ხედვა და ტკივილის განცდის ოსტატურად შერწყმა გარკვეულ ემოციას იწვევდა მკითხველში. გამოქვეყნებულ მოთხრობებში „გრძნობათა ნანგრევებზე“, „გაღმა“, „შრომის ძალა“, „ქალის გული“, „რუსუდანი“ გადმოცემულია ადამიანის სულიერი ენერგია, გახსნილია მათი შინაგანი მდიდარი ბუნება... მწერალი ქალი არ მიმართავდა მისტიკურ მანიპულაციებს,

უბრალოდ და გასაგებად ყვებოდა ადამიანის მოზღვავებულ გრძნობებზე, ხასიათზე, ქცევებზე, რწმენაზე.

ეს ის ჟამია, როცა ასპარეზზე გამოდის მიხეილ ჯავახიშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, ეგნატე ნინოშვილი და მისი თანამედროვენი. ქალ მწერალთა შორის ფუცუ დგებუაძემ იტვირთა მძიმე ტვირთი. მიუხედავად საბჭოთა ცენზურისა, მან შეძლო პატიოსნად ხარკი მოეხადა ქართული კლასიკური პროზისთვის. ამის მაგალითია ისტორიული რომანი „ოქროს ბეჭედი“.

მწერლის ნიჭიერება სწორედ ის არის, რამდენად ხელეწიფება ამა თუ იმ სახის კონიუნქტურაზე მაღლა დადგომა. რომანი „ოქროს ბეჭედი“ გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ორჯერ გამოიცა. მასში ასახულია ჩვენი წარსულის რეალური სურათი, მძაფრი სიუჟეტური ქარგა და სცენების მხატვრულად აღწერა. ეს ნაწარმოები ის საზომია, სადაც გამოვლინდა მწერალი ქალის შინაგანი წონასწორობის ნიჭი, საგანთა და მოვლენათა ფხიზელი ხედვის უნარი. გარდასულ დღეთა მოვლენების წვდომისა და რეალურად გადმოცემის შესაძლებლობა.

მჯერა, რომ ამ ისტორიულ რომანს კვლავ მრავალჯერ დაუბრუნდებიან, რადგან თითზე დასათვლელია ესოდენ გაბედული, ზედმიწევნით მართალი და მაღალმხატვრული ნაწარმოები.

ფუცუ დგებუაძე დაიბადა 1887 წელს წყალტუბოს რაიონში. მომავალი მწერალი იზრდებოდა ბაბუის როსტომ ლორთქიფანიძის ოჯახში, რომელიც გამორჩეული პიროვნება იყო. მის სახლში იკრიბებოდნენ ცნობილი ადამიანები, საზოგადო მოღვაწეები და მსჯელობდნენ ქვეყნის სვე-ბედზე. ამან დიდი გავლენა იქონია მომავალ მწერალზე.

ფ. დგებუაძე აქტიურად მონაწილეობდა 1905-1907 წლების რევოლუციურ მოვლენებში. სათანადო განათლების მიღების შემდეგ, 1906 წლიდან იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. პირველი საბავშვო მოთხრობა 1907 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „ნაკადულში“ „ქალის“, ფსევდონიმით.1909- 1917 წლებში იყო სენაკის ქალთა გიმნაზიის გამგე. აქვე დაქორწინდა დავით ფულარიაზე. პედაგოგიურ მოღვაწეობას კარგად შეუთავსა შემოქმედებითი საქმიანობა. გამოაქვეყნა არაერთ საინტერესო პუბლიკაცია ლიტერატურისა და სოციალურ თემებზე. 1917 წელს ჟურნალ „სახალხო ფედერაციაში“ დაიბეჭდა მისი ისტორიული ნარკვევი „წალენჯიხა“. იყო მრავალი ინიციატივის თაოსანი, ახლო ურთიერთობა ჰქონდა საზოგადოების მოწინავე წევრებთან, მას იწვევდნენ სხვადასხვა შეკრებებზე.

1918 წლიდან შრომით საქმიანობას აგრძელებს ჯერ თბილისში, შემდგომ იმერეთსა და აფხაზეთში. ქმნის არაერთ მაღალმხატვრულ ნაწარმოებს. მათ შორის, რომანს „ტყვარჩელის ლამპიონები“. მკითხველმა მიიღო მისი ნარკვევებისა და მოთხრობების კრებული, რომელთა მთავარი გმირი ძირითადად ქალები არიან.

ყოველი მისი ქმნილება არის მწერალი ქალის სულის სიღრმისეული გამოვლინება, იმ ნათელი ბუნების ათინათი, აბსოლუტური სიკეთისა და მშვენიერების იდეალზე რომ აღიზარდა და ახალგაზრდობიდანვე რომ იწამა. ნატიფი და დახვეწილი ქალბატონი გულანთებული ემსახურა ქართულ სიტყვას და თავისებურად მოიხადა ხარკი მის წინაშე.

ფუცუ დგებუაძე-ფულარიას, როგორც პროფესიონალ პედაგოგს, კარგად ესმოდა, რა უნდა ეთქვა თავისი თანამედროვეთათვის, რა გაეხმიანებინა, როგორი მიმართულებით წარემართა მათი ინტერესი და შეხედულებები. გასული საუკუნის პირველ ნახევარში, ქართულ ლიტერატურაში ძნელია წარმოიდგინო სხვა ქართველი პროზაიკოსი ქალი, გამოკვეთილი თავისებურებებით, აქტიური საზოგადო მოღვაწეობით, როგორიც იყო ფუცუ დგებუაძე- ფულარია..

ჩვენი ვალია, არ დავივიწყოთ სახელოვანი წინაპრების ღვაწლი და დამსახურება. ახალ თაობას შევახსენოთ იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა, რომელთა გარჯა ნაწილია ერის კულტურული ისტორიისა... ფ. დგებუაძეს წილად ხვდა, რომ ამ ისტორიის ცოცხალი შემოქმედი ყოფილიყო.

გორის დავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის
პრემიის ლაურეატი
სენაკი

◎ რეიტინგი



კონკურენტუნარიანობის მრავალსახეობა

საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა ახლახან 2017-2018 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც 137 ქვეყნის ყოფის სხვადასხვა ასპექტია შეფასებული. წლევანდელი ანგარიშის მიხედვით, ყველა პარამეტრის გათვალისწინებით, **საქართველოს 67-ე ადგილი მიუჩინეს, რაც წინა, 2016-2017 წლების ანგარიშის 59-ე პოზიციასთან შედარებით, ერთგვარი უკუსვლაა.** თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ რვასაფეხურიან ჩამოქვეითებას ერთი ობიექტური მიზეზიც აქვს. საქმე ისაა, რომ მრავალი კრიტერიუმის გაუარესების მიუხედავად, საქართველოს შეფასების ქულა (4,3) შარშანდელს აქეთ მაინც არ შეცვლილა, ანუ სულ მცირე, არ გაუარესებულა. მაგრამ ამ ხნის მანძილზე სხვადასხვა პარამეტრით მაჩვენებლები სხვა ქვეყნებმა გაიუმჯობესეს, რის ხარჯზეც, ბუნებრივია, რეიტინგში წინ წაიწიეს.

აღსანიშნავია, რომ საყოველთაო კონკურენტუნარიანობის ანგარიშს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტები 2005 წლიდან მოყოლებული აქვეყნებენ. მათი განმარტებით, **გლობალური კონკურენტუნარიანობა – ესაა კონკრეტული ქვეყნის პროდუქტიულობის დონის განმსაზღვრელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის, სახელმწიფო ინსტიტუტების და მსგავსი რანგის სხვა ფაქტორების ერთობლიობა.** ამასთან, თავის მხრივ, პროდუქტიულობის დონე განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული მოგების დონეს, რაც ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელი ძალაა. აქედან გამომდინარე, სავსებით ცხადია, რომ **უფრო მეტად კონკურენტუნარიანად მიიჩნევა იმ სახელმწიფოს ეკონომიკა, რომელიც წლიდან წლამდე უფრო სწრაფი ტემპით იზრდება.**

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წინა ანგარიშთან შედარებით, რომელშიც ასზე მეტი კრიტერიუმია გათვალისწინებული, საქართველოსთვის საერთაშორისო ექსპერტების მიერ „დაწერილი ნიშნები“ ზოგ „დისციპლინაში“ უფრო დაბალია, ზოგშიც – შედარებით მაღალი. განსაკუთრებულად არასახარბიელო შეფასებები საქართველომ სამართლოს დამოუკიდებლობის დონით დაიმსახურა: შარშანდელ 63-ე ადგილთან შედარებით წლევანდელი 87-ე ადგილი 24-საფეხურიანი გაუარესებაა. დაწყებითი განათლების სფეროში პოზიცია 13 პუნქტით შეგვიმცირდა და ახლა 106-ე ადგილზე ვიმყოფებით, მთავრობის გადაწყვეტილებების მიღებისას ფავორიტიზმის დონით 57-ე ადგილი გვაქვს მიჩენილი, რაც 12-პუნქტიან დაღმასვლას მოწმობს. ბიუჯეტის დაუბალანსებლობის მხრივ მე-40 ადგილზე ვართ, რაც 16 ადგილით ქვევით ჩამოწევაა. კიდევ შეიძლება აღინიშნოს პოზიციების დათმობა სახელმწიფო ყოფის ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საკუთრების უფლება, მთავრობის გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა, მისი ვალი, უმაღლესი განათლება და სხვ.

ამასთან, წინა წელთან შედარებით ვითარება გაუმჯობესდა გადასახადების ადმინისტრირების საკრედიტო რეიტინგის, სკოლების ინტერნეტიზაციის, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის, სამუშაო ძალის კვალიფიკაციისა და სხვა დონეების მხრივ.

მაგრამ, მეტად საგანგაშო და დროულად მისახედი ის გარემოებაა, რომ **ყველაზე ცუდი ადგილი საქართველოს ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროში აქვს მიჩენილი, როგორიცაა ინოვაციების დანერგვა – 137 ქვეყანას შორის 118-ე ადგილი, რაც თავისთავად კომენტარს არ საჭიროებს.** თუმცა კი მაინც ვიტყვით, რომ ეს, არსებითად, ეკონომიკის გახევებას ნიშნავს, რასაც სამეცნიერო კვლევების დაბალი დონე, კვალიფიცირებული სამეცნიერო-საინჟინრო და მუშახელის დეფიციტი და სხვა განაპირობებს.

სხვა მხრივ კი, ბოლო წლების მანძილზე ქვეყანა გარკვეულწილად სტაბილურობას ინარჩუნებდა გლობალური კონკურენტუნარიანობის დონით.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტიანობის ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ქვეყნების ჩამონათვალში პირველ პოზიციებზე არიან **შვეიცარია, ამერიკის შეერთებული შტატები, სინგაპური, ნიდერლანდი** და **გერმანია,** ყველაზე ცუდი მაჩვენებლები კი **იემენს, მოზამბიკსა** და **ჩადს** აქვთ.

დალი ხუნდაძე

შოთა ხიზანიშვილმა საპყრობილე დატოვა

შინაგან **საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ შოთა ხიზანიშვილმა ე.წ. მატროსოვის ციხე დატოვა. მას წელიწადნახევრიანი სასჯელი გუშინ ამოეწურა.**

„სასჯელი სრულად მოიხადა, ამჟამად მის წინააღმდეგ არცერთი საქმე არ მიმდინარეობს“, – განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ხიზანიშვილის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა.

ხიზანიშვილმა საპყრობილე ჟურნალისტებთან კომენტარის გარეშე დატოვა. გარეთ მას ახლობლები და ოჯახის წევრები ელოდებონენ.

თუ რა გეგმები აქვს ყოფილ ძალოვანს, ამის შესახებ ადვოკატს ინფორმაცია არ აქვს.

შეგახსენებთ, რომ შოთა ხიზანიშვილი 2016 წლის 28 ივნისს დააკავეს. მას ბრალი უფლებამოსილების გადამეტებაში ედებოდა.

ᲛᲘᲨᲐ ᲓᲦᲔᲡ „ᲣᲡᲐᲮᲔᲚᲣᲠᲝ ᲩᲔᲛᲝᲓᲐᲜᲘᲡ“ ᲰᲒᲐᲕᲡ, ᲒᲐᲓᲐᲒᲓᲔᲑᲐ ᲒᲔᲜᲐᲜᲔᲑᲐ, ᲢᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲕᲔᲠ ᲐᲢᲐᲠᲔᲑ

ᲔᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ **პᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚ** **გᲐᲖᲔᲗ „Комсомольская правда“-Ს ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ...**

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲜᲘᲣᲡᲞᲠᲔᲡᲘ“ �გᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ ᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐᲡ:

ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ პირველ ნაწილში, ისევე როგორც უცხოელი ჟურნალისტების უმრავლესობა, რუსი მიმომხილველიც თავისი შთაბეჭდილებების გადმოცემას თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან იწყებს და ტაქსის მძღოლს ესაუბრება. ტაქსისტი სიტყვაუხვი და ლაპარაკის მოყვარული აღმოჩნდა, იმავდროულად კი სიმპათიურად განწყობილი ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ. **„საქართველოში ექსპრეზიდენტს უბრალოდ მიშას უწოდებენ. გვარ-სახელით მას მხოლოდ შეურიგებელი ოპოზიციონერები მოიხსენიებენ. მიშას მხარდამჭერები ქვეყანაში ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობითაა, თუმცა უმრავლესობაში აღარ არიან“,** — აღნიშნავს ავტორი.

ავტორი ესაუბრება **ნანა დევდარიანს,** რომელიც საქართველოში პარლამენტის წევრიც იყო, სახალხო დამცველიც, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეც, დღეს კი არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრს“ ხელმძღვანელობს... საუბრის თემა მიხეილ საააკაშვილის პერსპექტივაა — დაბრუნდება თუ არა იგი სამშობლოში, გადმოსცემს თუ არა უკრაინის ხელისუფლება საქართველოს ექსპრეზიდენტს. ნანა დევდარიანის თქმით, მიხეილ საააკაშვილს ჯერ კიდევ ჰყავს მომხრეები საქართველოში, მაგრამ მისი რეიტინგი უკვე კატასტროფულადაა დაცემული — ადრე მას მხარს მოსახლეობის 90% უჭერდა, ახლა კი 11-12%. **„ჩვენთან ზვიად გამსახურდიასაც თავისი მომხრეები ჰყავს. იგი, მართალია, შეცდომებს უშვებდა, მაგრამ სამშობლო გულწრფელად უყვარდა და პატრიოტი იყო, მიხეილ საააკაშვილი უფრო კოსმოპოლიტია, ვიდრე პატრიოტი“.**

რუსი ჟურნალისტი შეხვდა ასევე ახალგაზრდა ბლოგერს **გიორგი მდივანს,** რომელსაც ფეისბუქში Politicano-ს გვერდი აქვს გახსნილი და **ალექსანდრე ლომიას** — „პატრიოტთა ალიანსის“ საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელს. მათთან საუბრის თემა კვლავ მიხეილ საააკაშვილის სამომავლო პერსპექტივაა. გიორგი მდივანის აზრით, ექსპრეზიდენტი უკვე პოლიტიკურ გვამს წარმოადგენს, ალექსანდრე ლომია კი განმარტავს, თუ რატომ არ სურს სინამდვილეში საქართველოს ხელისუფლებას მიხეილ საააკაშვილის ექსტრადირება, თუმცა უკრაინას მის გადმოცემას მაინც სთხოვს: **„ჩვენს ხელისუფლებას მისი დაპატიმრება არ სურს. ხელისუფლებას ზეწოლისა ეშინია... ვაითუ, იძულებული გავხდეთ და გავათავისუფლოთო. ან წამებულის შარავანდედი შევუქმნათო“.**

ᲠᲣᲡᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ: ᲐᲠᲪ ᲬᲧᲐᲚᲘ, ᲐᲠᲪ ᲦᲕᲘᲜᲝ...

როგორც ჩანს, უკრაინა მიშას საქართველოს არ გადასცემს, რასაც ზოგი სიხარულით, ზოგიც კი სინანულით აღიქვამს. ამჟამად მიშა „უსახელურო ჩემოდნის“ ამპლუაში გამოდის: მისი გადაგდება გენანება, ტარებით კი ვერ ატარებ. გარდა ამისა, არის ერთი ნიუანსიც: „თუ მიშას ციხეში ჩასვამ, საზოგადოებას ამით აჩვენებ, რომ თურმე ქვეყნის ყოფილი ლიდერების დაპატიმრებაც შესაძლებელია, ანუ ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახული იქნება. მაგრამ ვაითუ შემდეგ იგივე ხალხმა, დღევანდელი ხელისუფლების წასვლის შემდეგ, მათი დაპატიმრებაც მოითხოვონ? ასე რომ, უმჯობესია ექსპრეზიდენტის ფიგურა ხელშეუხებელი იყოს“.

ავტორი ვრცლად გადმოსცემს თბილისური რესტორან-კაფეების მენიუს, ესაუბრება რუს ტურისტებს, რომლებსაც საქართველოს შესახებ საუკეთესო შთაბეჭდილებები აქვთ. იგი ხაზს უსვამს რუსი ტურისტების ნაკადის სწრაფ ზრდას, სტატისტიკურ მონაცემებს... ბათუმში ყოფნისას ალექსანდრე გრიშინი ყურადღებას აქცევს ქალაქის ახალმშენებლობებს, მრავალრიცხოვან უცხოელ ინვესტორებს...

* * *

პუბლიკაციის მეორე ნაწილში ავტორი საქართველოში პოლიტიკურ სიტუაციას ეხება, განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს ქართველი პოლიტიკოსების დამოკიდებულებაზე რუსეთის მიმართ. „დღეს საქართველოში არ არსებობს პოლიტიკური პარტია, რომელიც რუსეთთან მეგობრობისთვის მზად იქნება. რუსეთი ქართველი საზოგადოების თვალში მტერი და აგრესორია, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული. თვით „პატრიოტთა ალიანსიც“ კი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მომხრედ გამოდის, თავის მიერ გატარებულ პოლიტიკას პრორუსულად კი არა, პროქართულად მიიჩნევს. „პატრიოტები“ თვლიან, რომ საქართველოს თავის ყველა მეზობელთან, მათ შორის რუსეთთანაც, ნორმალური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. ამის მიუხედავად, „პატრიოტთა ალიანსს“ პარლამენტშიც და მასმედიაშიც „სამშობლოს მოღალატის“ იარლიყი მიაწებეს“, — აღნიშნავს ავტორი და იქვე იხსენებს „უჭკვიანეს პოლიტიკოსს“ ნინო ბურჯანაძეს, რომელიც სწორედ რუსეთის საკითხმა „გატეხა“: მან საკუთარ პოლიტიკურ ბედს თვითონ გამოუტანა განაჩენი, როცა რუსეთთან დაახლოებაზე დაიწყო ლაპარაკი.

პუბლიკაციაში გადმოცემულია ალექსანდრე ლომიას, ნანა დევდარიანის, მალხაზ გულაშვილის (მედიაჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმსის“ მფლობელის), გია ხუხაშვილის (ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩევლის) და სხვათა თვალსაზრისები, რომლებიც ვრცლად საუბრობენ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ქვეყნის ევროატლანტიკურ პერსპექტივებზე.

აი, ამონარიდები სტატიიდან:

„ჩემთან მოსაუბრეების თვალსაზრისები საოცრად ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა მე მათ სრულიად სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილზე შევხვდი. რომანტიკულად განწყობილები ჯერ კიდევ თვლიან, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდება, სკეპტიკოსებს კი მიაჩნიათ, რომ სანამ საქართველოს კონფლიქტები (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) არ მოგვარდება, მანამ ნატოში გაწევრიანებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

საინტერესოა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, რომელიც საქართველოს თავის წევრად არ ღებულობს, ამ ქვეყანას მაინც ყველანაირად იყენებს, მაგალითად, ავღანეთის ოპერაციებში, სადაც ასობით ქართველი ჯარისკაცია გაგზავნილი. „ჩვენ ნატოსთვის იაფი საზარბაზნე ხორცი ვართ, — თვლის გია ხუხაშვილი, — დასავლეთს ჩვენს მიმართ კონკრეტული პოლიტიკური ინტერესი აქვს: მას სურს, რომ საქართველო, საზარბაზნე ხორცის სახით, რუსეთთან ომის წინა ხაზზე ჰყავდეს, რომ ჩვენგან და უკრაინისგან ბუფერი ჩამოაყალიბოს“.

„ერთი ჯარისკაცის დაღუპვა ამერიკას 15 მილიონი დოლარი უჯდება. თუ ქართველი ჯარისკაცი მოკვდება, ვაშინგტონისთვის იაფი იქნება. ჩვენ უკვე 32 ჯარისკაცი დაგვეღუპა, დაჭრილების რაოდენობაზე კი უკვე არავინ არ ლაპარაკობს, — ბრაზობს მალხაზ გულაშვილი, — ბევრი ხვდება, თუ როგორ გვიყურებს ამერიკა. როცა ჩვენთან ტყეები იწვოდა ბორჯომის ხეობაში, ამერიკელებმა მეხანძრეების ფეხსაცმელები გამოგვიგზავნეს“.

ალექსანდრე გრიშინი ესაუბრება უნივერსიტეტის სტუდენტებსაც, რომლებმაც ბევრი რამ არ იციან საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, მეორე მსოფლიო ომში შეტანილ ქართველთა წვლილზე. ავტორი სინანულით აღნიშნავს: „შეიძლება სტუდენტების ასეთი უცოდინარობა საქართველოს ევროპულ არჩევანს დავაბრალოთ, რომელსაც ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მეთაური — კათოლიკოს-პატრიარქი ეწინააღმდეგება. ილია მეორეს გიგანტური ავტორიტეტი აქვს, მაგრამ მას ებრძვიან — ებრძვიან დასავლეთიდან, ნატოდან... ეკლესიაშიც განხეთქილება მწიფდება. უკვე დანიშნულია ნატოს კურატორი, რომელიც ღრმად პატივცემული პატრიარქის სიკვდილს ელოდება, რათა დაპირისპირების ინიციატივა მოახდინოს. და თუ ეს მოხდება, (ევროინტეგრაციას) ნაკლები მოწინააღმდეგე ეყოლება. პრინციპში, მთავარი, პრაქტიკულად, უკვე მიღწეულია: ახალგაზრდა თაობა საკუთარი ქვეყნის ისტორიას და თავისი გმირებს არ იცნობს. მათი მახსოვრობა განადგურებულია. არადა, ასეთი რამ კავკასიელებისთვის ადრე დამახასიათებელი არ იყო...**

„ქართველები თანდათან ივიწყებენ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ბრძნულ აფორიზმებს... მოვა დრო და, ალბათ, ინანებენ კიდეც“...

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲒᲠᲘᲨᲘᲜᲘ,
„ᲙᲝᲛᲡᲝᲛᲝᲚᲡᲙᲘᲐ ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲑᲣᲨᲘ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠ ᲨᲔᲕᲘᲬᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲡ

უფროსი ჯორჯ ბუში სექსუალურ სკანდალში გაეხვა. ცნობილმა მსახიობმა ჰეზერ ლინდმა 93 წლის ექსპრეზიდენტი სექსუალურ შევიწროებაში დაადანაშაულა. მსახიობის მტკიცებით, ინციდენტი 4 წლის წინ ფოტოსესიაზე მოხდა. „ის სავარძელში იჯდა. ჯერ უხამსად მეხუმრა, შემდეგ კი უკნიდან დამიწყო ხელების ფათური. ბარბარა ბუში ჩემს გვერდით იდგა და მან ეს დაინახა“, — წერდა ლინდი ინსტაგრამში.

ᲨᲢᲐᲘᲜᲛᲐᲘᲔᲠᲘ: ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲔᲑᲘ ᲧᲘᲠᲘᲛᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲜ

გერმანულ კომპანიებს ყირიმში არ უმუშავიათ და არც მომავალში იმუშავებენ. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა. მისივე თქმით, რუსი პარტნიორების მიმართ გერმანულ კომპანიებს ნდობა დაკარგული აქვთ, რადგანაც კომპანია სიმენსთან რუსულმა მხარემ კონტრაქტის პირობები დაარღვია და რუსეთისთვის განკუთვნილი ტურბინები ყირიმის ნახევარკუნძულზე მოხვდა. სკანდალში რუსული მხარე მას შემდეგ გაეხვა, რაც სიმენსისგან შეძენილი საგაზო ტურბინები სევასტოპოლის ელექტროსადგურის მშენებლობისთვის გამოიყენა.

ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ 6 ᲗᲕᲔᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲡ

კატალონიაში კანონის აღდგენა და არჩევნების ჩატარება მადრიდისთვის მთავარი პრიორიტეტია. ამის შესახებ ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა მარიანო რახოიმ განაცხადა. „პირველ რიგში, საჭიროა კანონიერება აღვადგინოთ. ამიტომაც ავამოქმედეთ კონსტიტუციის 155-ე მუხლი. ახლა ჩვენი ამოცანაა, ჩავატაროთ არჩევნები ექვსი თვის განმავლობაში“, — აღნიშნა რახოიმ.

ᲢᲕᲘᲢᲔᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐᲖᲔ ᲠᲔ�გᲣᲚᲐᲪᲘᲔᲑᲡ ᲐᲛᲙᲐᲪᲠᲔᲑᲡ

ტვიტერი რეგულაციებს ცვლის. სოციალური ქსელის ადმინისტაციის გადაწყვეტილებით, ტვიტერზე პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე მოთხოვნები გამკაცრდება. „უახლოეს ხანებში ამუშავდება ე.წ. გამჭვირვალობის ცენტრი, რომელიც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს იცოდეს, თუ რა სახის რეკლამა იდება სოციალურ ქსელში, ვინ არის რეკლამის მწარმოებელი და ვინ დგას პოლიტიკური რეკლამის უკან“, — ნათქვამია ადმინისტრაციის განცხადებაში. რეგულაციების გამკაცრების გადაწყვეტილება ტვიტერის ხელმძღვანელობამ მას შემდეგ მიიღო, რაც სენატის დაზვერვის კომიტეტს 200-ზე მეტი აქაუნთის შესახებ გადასცა ინფორმაცია. საქმე ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის შესაძლო ჩარევას უკავშირდება.

ᲢᲠᲐᲛ�პᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲔᲡᲠᲝᲚᲔᲡ

ინციდენტი კაპიტოლიუმში მოხდა, როცა თეთრი სახლის ლიდერმა რესპუბლიკელთა ლიდერ მიტჩ მაკკონელთან ერთად კაპიტოლიუმში ჟურნალისტების წინ ჩაიარა. პირმა, რომელმაც პრეზიდენტს რუსეთის დროშა ესროლა, შეერთებული შტატების პრეზიდენტს მოღალატე უწოდა. წესრიგის დამრღვევი კაპიტოლიუმის დაცვამ ადგილზე დააკავა. ის ადგილობრივი საზოგადოებრივი მოძრაობის წევრი რაიან კლეიტონი აღმოჩნდა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲛᲐ ᲛᲘᲜᲡᲙᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲗᲕᲐᲚᲐ

დოკუმენტის მიხედვით, რომელიც რუსულმა მხარემ ევრაზიის საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა, ნათქვამია, რომ რუსეთის მიმართ ბელარუსის დავალიანება 6,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. აგვისტოში რუსეთმა ბელარუსს ახალი 700- მილიონიანი კრედიტი გამოუყო. კრედიტით ბელარუსის მხარეს ისევ რუსეთისადმი არსებული დავალიანების დაფარვა უწევს.

დემოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტისთვის თანხის გამოყოფაზე ყურს არავინ იბერტყავს!

სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში, წინა წელთან შედარებით, 2016 წელს 2 680 ბავშვით ნაკლები დაიბადა, რომლთა რაოდენობა, მომავალ წლებში, შესაძლოა, უფრო შემცირდეს. გასული წლების სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, 1990 წელს ქვეყანაში 92 815 ბავშვი დაიბადა; 1995 წ. — 56 341; 2000 წ. — 48 800; 2005 წ. — 46 512; 2006 წ. — 47 795; 2007 წ. — 49 287; 2008 წელს — 56 565; 2009 წ. — 63 377; 2010 წ. — 62 585; 2011 წ. — 58 014; 2012 წ. — 57 031; 2013 წ. — 57 878; 2014 წ. — 60 635 და 2015 წ. — 59 249, ხოლო 2016 წ. — 56 569. ექსპერტი დემოგრაფიულ საკითხებში, ავთო სულაბერიძე ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ აუცილებელია პრობლემის შესწავლა და სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება.

დღეს ავთო სულაბერიძე ჩვენი გაზეთის სტუმარია.

— სანამ უშუალოდ დღევანდელ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ვისაუბრებთ, მოდით, მივყვეთ სტატისტიკას და შევაფასოთ 90-იანი წლები, რადგან, ერთი მხრივ, სწორედ ეს წლები განაპირობებს შობადობის დღევანდელ დაბალ მაჩვენებელს.

— დიახ, სწორედ 90-იან წლებში იყო შობადობის დაბალი მაჩვენებელი, რაც განაპირობა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და სოციალურმა ვითარებამ ქვეყანაში. ამას დაემატა ქალთა შობადობის 20-30%-ით შემცირება, ანუ ვაჟებზე ნაკლები ქალები იბადებოდნენ, რამაც უფრო გაამწვავა სიტუაცია, რადგან შემდეგ ამ ქალების ნაწილი მიგრაციაში წავიდა და თავისთავად მოხდა ქორწინების და შობადობის ვადის გადაწევა, რამაც ამ მდგომარეობამდე მოგვიყვანა.

— ანუ ნაწილობრივ ქალებისა და მამაკაცების ქორწინების ასაკის გადავადებამაც განაპირობა შობადობის შემცირება?

— რა თქმა უნდა. ადრე ქალები, თუ 23 წლის, ხოლო მამაკაცები 27 წლისანები ქორწინდებოდნენ, შეიცვალა ეს მაჩვენებელი და ქალები 27, მამაკაცები კი 31 წლისანები ქორწინდებიან. ასევე მოხდა პირველი შვილის გადავადება 27-39 წლამდე და 35 წლის ქალი, რომ გათხოვდება, ის სამ შვილს აღარ გააჩენს, რაც, რა თქმა უნდა, ამცირებს შობადობის მაჩვენებელს.

— რა მიზეზით შეიძლება აიხსნას ქორწინების ვადების გადაწევა?

— ერთ-ერთი შეიძლება იყოს განათლების მიღების სურვილი. ჩვენთან 12-წლიანი სწავლებაა და 18 წლის ბავშვი სკოლის დამთავრების შემდეგ კიდევ 24-25 წლამდე უნდება ბაკალავრიატის და მაგისტრატურის დამთავრებას, თუ დოქტურანტურა არ გააგრძელა, შემდეგ სჭირდება სამსახური, ბინის შეძენა და ა.შ. რასაც დაახლოებით, 5-6 წელი მაინც სჭირდება და ამასობაში 30 წელს გადააბიჯებს. აქედან გამომდინარე ქორწინდებიან 35-დან 40 წლის ასაკამდე და ბევრი შვილის ყოლის ალბათობაც იკლებს.

შობადობაზე ასევე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორი, დაუსაქმებლობა და ეკონომიკის დაბალი ტემპები, რომელიც ვერ უზრუნველყოფს უმუშევრობის დაძლევას.

— რა ღონისძიებებია საჭირო სახელმწიფოს მხრიდან, რომ მომავალში დემოგრაფიულ კატასტროფამდე არ მივიდეთ?

— დიდი პრობლემაა მოსახლეობის კონცენტრაცია თბილისში, რაც ძალიან ცუდ პირობებში მიმდინარეობს. ჩვენ ნელ-ნელა დავკარგავთ მცირე და საშუალო ქალაქებს, ეს კი იმან გამოიწვია, რომ თბილისშია თავმოყრილი მსხვილი ბიზნესი და თითქმის ყველაფერი. ჩვენ თუ არ გავიტანეთ ეს ბიზნესი მცირე და საშუალო ქალაქებში და იქ ახალგაზრდობა არ დავასაქმეთ, უფრო შემცირდება შობადობა. პოლიტიკა უნდა წარიმართოს ოჯახისკენ, უნდა გაძლიერდეს სოფლის მეურნეობა და მცირე და საშუალო რეგიონების განვითარება უნდა მოხდეს. მაგალითად: რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, თიანეთში ძალიან დიდი ხანია, რაც დეპოპულაციის ნიშნებია და ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ვსაუბრობდით ამაზე, მაგრამ რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან არ მოჰყოლია. თუ ასე გაგრძელდა, ძალიან ცუდ შედეგებამდე მივალთ.

— მოგეხსენებათ, 2014 წლიდან სახელმწიფო პროგრამაში ჩართულია 6 რეგიონი, (გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი. 2017 წლიდან კი სამცხე-ჯავახეთი), რომლის ფარგლებშიც ოჯახები, ბავშვზე ფულადი სახით 150-200 ლარს დახმარებას იღებენ სახელმწიფოსგან. თუმცა, ალბათ, ეს მიზერული თანხაა იმისთვის, რომ პრობლემა მოგვარდეს.

— რა თქმა უნდა, ეს მიზერულია, მაგრამ აუცილებელი იყო ეგ დახმარება, სხვა შემთხვევაში უარეს მდგომარეობაში ვიქნებოდით, თუმცა იმისთვის, რომ ბავშვზე 150-200 ლარი მიიღოს, იქ არ წავა ახალგაზრდობა... რომ წავიდეს, სად უნდა იმუშაოს? სოფლის მეურნეობაში იმდენი ინვესტიცია არ არის ჩადებული, რომ სოფლის მეურნეობისგან ბიზნესი აწარმოოს, ამიტომ ახალგაზრდობას გული უტყდება და მოდის. სახელმწიფომ 2014 წლიდან დახმარება დაიწყო, მაგრამ დღემდე ამ რეგიონებში შობადობის დაბალი მაჩვენებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკა უნდა შეიცვალოს.

ერთადერთი დემოგრაფიული ფანჯარა შობადობაში, გამოჩნდა მაშინ, როდესაც პატრიარქმა მოუწოდა საზოგადოებას, ჰყოლოდათ მესამე და მომდევნო შვილი და მათ ყოველგვარი მატერიალური დახმარების გარეშე გააჩინეს მესამე შვილი. ეს უკვე სულიერი მდგომარეობაა, მაგრამ შევარდნაძეს, ივანიშვილს ან სააკაშვილს რომ მოეწოდებინა, ნამდვილად არ წაჰყვებოდა ხალხი. ამ შემთხვევაში პატრიარქი შევიდა ოჯახში, როგორც ნათლია და ეს სტიმული იყო მშობლებისთვის, რამაც გაზარდა შობადობა.

სწორედ პატრიარქის მოწოდების ხარჯზე იყო 2007 წელს დემოგრაფიული ამოსუნთქვა, თუმცა დღესდღეობით პირველი და მეორე ბავშვის პოზიციები შემცირდა და სწორედ ამიტომაა აუცილებელი სახელმწიფოს მხრიდან დაუყოვნებელი მოქმედება.

— პატრიარქის მოწოდება ნამდვილად სტიმული იყო, რადგან დღესდღეობით პატრიარქის ნათლულთა რაოდენობა 28 ათასს აღწევს, თუმცა რამდენია ნორმა 1 ქალისთვის ბავშვის შობადობის თვალსაზრისით?

— 100 ქალი როდესაც შობს 210 ბავშვს, ეს არის ნორმა. ამის ქვემოთ თუ წავიდა, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში დეპოპულაცია იწყება, მით უმეტეს, მაღალი მოკვდავობის პირობებში უფრო გაუარესდება დემოგრაფიული პროცესები და განსაკუთრებით ეს მოსალოდნელია 2030 წლისთვის, ანუ 1000 კაცზე 6-ით მეტი იქნება გარდაცვლილი, ვიდრე დაბადებული და ეს ძალიან რთული გამოსასწორებელი გახლავთ.

პირველ რიგში, ეს გამოიწვევს დემოგრაფიული უსაფრთხოების დარღვევას, ანუ საშიშროებას ერის გამრავლების საკითხებში და, მეორე მხრივ, ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებას, რადგან ბიუჯეტიდან დაბერებულ მოსახლეობაზე წავა თანხები.

— არჩევნების პერიოდში ხშირია მოწოდებები „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „ძლიერი რეგიონი, ძლიერი საქართველო“ და ა.შ. არავის უთქვამს — „ძლიერი ოჯახი, ძლიერი საქართველო“.

— 90-იან წლებში ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა იყო, კრიზისს განიცდიდა სახელმწიფო, იყო უმუშევრობა და ოჯახებიც კრიზისის მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ ოჯახებმა დაძლიეს კრიზისი და სახელმწიფომ ვერ დაძლია. ასე რომ, ოჯახს რომ შეუწყონ ხელი სიღარიბის და უმუშევრობის კუთხით, ის უფრო გაძლიერდება, უფრო ნაკლებს მოითხოვს და სახელმწიფო და სოციალური დაცვის მოთხოვნილება უფრო ნაკლები იქნება. ყველაფერი ჯაჭვით არის გადაბმული და ერთმანეთს მიჰყვება.

— როგორ ფიქრობთ სახელმწიფოს აქვს რესურსი რეგიონების განვითარების, სამუშაო ადგილების შექმნის და იმის გაკეთების, რაც ხელს შეუწყობს დემოგრაფიული მდგომარეობის აღმავლობას?

— რა თქმა უნდა, აქვს, თუ ის შექმნის სწორ საკანონმდებლო ბაზას ოჯახის მიმართ. ყველაზე კარგი ინვესტორი საკუთარი მოსახლეობაა. ამდენი ინვესტიცია რომ მოდის, მიდის ერთეულების ჯიბეში და ეს ინვესტიცია მიზანმიმართულად თუ წავა ოჯახზე, ოჯახი თვითონ განაგებს მას.

სწორედ მატერიალური დაინტერესებაა ქვეყნიდან გასული უამრავი ადამიანის მიზეზიც, რაც იწვევს მიგრაციას და მიგრაციის პროცესი, თავის მხრივ, დემოგრაფიულ დაღმავლობას...

დღეისთვის მილიონ რვაასი ათასი ადამიანია გასული საქართველოდან და წარმოიდგინეთ, როგორ იმოქმედებს ეს შობადობის პოტენციებზე. ჩვენ ვწერ-

დღეისთვის მილიონ რვაასი ათასი ადამიანია გასული საქართველოდან და წარმოიდგინეთ, როგორ იმოქმედებს ეს შობადობის პოტენციებზე. ჩვენ ვწერდით, რომ 2018 წლიდან 2020 წლებში მოსალოდნელია დეპოპულაცია, რაც ნიშნავს, რომ შობადობას გადააჭარბებს გარდაცვლილთა რაოდენობა. ერთ-ერთი პირველი პრობლემაა მოსახლეობის დაბერების ტემპი, რომელიც მიგრაციის და შობადობის შედეგად ხორციელდება.

დით, რომ 2018 წლიდან 2020 წლებში მოსალოდნელია დეპოპულაცია, რაც ნიშნავს, რომ შობადობას გადააჭარბებს გარდაცვლილთა რაოდენობა. ერთ-ერთი პირველი პრობლემაა მოსახლეობის დაბერების ტემპი, რომელიც მიგრაციისა და შობადობის შედეგად ხორციელდება. დღეისათვის უკვე პენსიონერთა რაოდენობა 14%-ია, როდესაც ნორმა არის 7%.

14% არის 70 წელს გადაცილებული ადამიანების წილი მოსახლეობის რაოდენობაში, საიდანაც იწყება დემოგრაფიული დაბერება.

— „თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში წერია, რომ 2050 წლისთვის ქვეყნის მოსახლეობა შესაძლოა, 2 985 000 გახდეს. თქვენ როგორ პროგნოზს გააკეთებთ, ბატონო ავთო?

— არავინ იცის, რამდენი გახდება, თუმცა 2050 წლის პროგნოზი რომ გავაკეთო, 2 მილიონზე ჩამოვდივართ, განახევრდება, მაგრამ შეიძლება, 5-10 წელიწადში განვითარდეს ქვეყანა, შემოვიდეს ინვესტიციები, დაბრუნდეს მიგრაციაში წასული ხალხი და თუ ისინი დავაბრუნეთ, არანაირი საშიშროება აღარ იქნება. ოთხასი ათასამდეც დავედით, მაგრამ გადავრჩით და გავმრავლდით!

ახალგაზრდობა სასწავლებლად რომ მიდის და განათლებას იღებს, კარგია, ასევე მიგრანტები, ვინც სამუშაოდ მიდის ქვეყნიდან, მაგრამ სახელმწიფომ აქ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ ქვეყნიდან წასულები დაბრუნდნენ.

— „2050 წლისთვის მსოფლიოს მოსახლეობა 9,2 მილიარდს მიაღწევს და მისი ზრდის 99% ღარიბი ქვეყნების ხარჯზე მოხდება“, — ამას პროგნოზირებენ ექსპერტები. ჩვენთან როგორი მდგომარეობაა, რომ შეაფასოთ სხვა ქვეყნების მაგალითზე?

— ეს პროცესი დიდი ხანია, დაწყებულია, მაგალითად გერმანიაში თურქები ბატონობენ, საფრანგეთმა არაბები შეიყვანა და დღეს „იმკის მოსავალს“ — შეინარჩუნა შობადობის მაღალი დონე, მაგრამ სხვა ეროვნებების ხარჯზე.

საქართველოში სიტუაციას ეროვნების კუთხით თუ განვიხილავთ, ჩვენთან 85% ქართველია, ანუ ჯერ არა გვაქვს საშიშროება, მაგრამ ხვალ რომ ინვესტიციები ჩაიდება და უკვე მოდიან კიდევაც ჩინეთიდან, ინდოეთიან, არაბეთიდან, აფრიკის ქვეყნებიდან სასწავლებლად, ნელ-ნელა შეიმჩნევა მიგრაციის პროცესი ჩვენთანაც.

პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი წინააღმდეგები არიან მიგრანტების მიღების იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ერის უსაფროებაზე მოქმედებს. ეს პრობლემა სწორი პოლიტიკით უნდა ავიცილოთ თავიდან, რასაც მუშაობა უნდა.

მილიონი დემოგრაფიული საზოგადოება შექმნეს სპეკულანტობით და დემოგრაფიით, რომელთა წამოყენებულ წინადადებებს უკუქმედება უფრო გაიჩინა დემოგრაფიულ პროცესებზე, ვიდრე დადებითი. დემოგრაფიული პროცესები უნდა შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ, რაზეც ჩვენ დიდი ხანია, თანხის გამოყოფას ვითხოვთ, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავს.

ესაუბრა
ალა ისპირიანი

◎ ფეხბურთი

ეს ისეთი ასაკია...

ქართულ სახელმწიფოსა, ზოგადად, და ქართულ ფეხბურთს, კონკრეტულად, უეფამ კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა და თბილისს 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მასპინძლობა დააკისრა. დაგვეთანხმებით, აღნიშნული პატივი, მნიშვნელოვანწილად, ჩვენი მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების გათვალისწინებით გვერგო, ხოლო რაც შეეხება აწმყოს, სასტარტო შეხვედრაში გიორგი ნემსაძის გაწვრთნილი გუნდის მიერ მოპოვებული მძიმე გამარჯვების მიუხედავად, საზეიმოდ ჯერ ნამდვილად არა გვაქვს საქმე.

საქართველო – ლატვია 1:0 (1:0)

საქართველო: ხარშილაძე, გელაშვილი, ნონიკაშვილი, აბზიანიძე (შალიკაშვილი), კაპანაძე, ჩოთალიშვილი, დავითაშვილი, მექვაბიშვილი, აზაროვი, გულიაშვილი (ჯანგველაძე), კვარაცხელია (შვარცი).

გოლი: კვარაცხელია (21-ე წუთი).

მსაჯი: რაჰიმ ჰასანოვი (აზერბაიჯანი).

გაძევება: ჩოთალიშვილი.

გაფრთხილება: გულიაშვილი, აზაროვი.

როცა ჩვენი ჯგუფის წილისყრა დასრულდა, ფავორიტად ყველამ იტალია შერაცხა, დანარჩენებს კი ელიტ-რაუნდის მეორე საგზურისთვის ბრძოლა გვიწინასწარმეტყველეს.

მართლაც, აპენინელებმა მონტენეგროელთა გაბითურებით (3:0) სრულად გაამართლეს მათზე გაცემული ავანსები. იმედი ვიქონიოთ, რომ საბოლოოდ მათ სწორედ „ჯვაროსნები“ გაუწევენ კამპანიას მომავალ წრეში, თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება.

მოსამზადებელ ტურნირებში ქართველ ჭაბუკთა მიერ მიღწეულმა წარმატებებმა (კიევში გამართული ვიქტორ ბანიკოვის მემორიალის მოგება და მინსკში დაკავებული მეორე ადგილი) გულშემატკივრები ოპტიმისტურად განაწყო, მაგრამ დასკვნით ეტაპზე ბელარუსებთან განცდილმა ორმა საშინაო მარცხმა გაჩინა კითხვა – ბოლომდე დაუღვინებელ ბიჭებს კონდიციები მთავარი გამოცდის დაწყებამდე ხომ არ ამოეწურათ?

ბალტიისპირელებთან რიხიანად დაწყებული ბრძოლის საინფარქტო ფინიშმა დაადასტურა, რომ „ფიზიკაში“ ისევე მოვიკოჭლებთ, როგორც დანარჩენი ქართული ნაკრებები და კლუბები, რაც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო იჩენს თავს შემდეგ მატჩებში, თუმცა, მეორე მხრივ, არც წინასამატჩო მღელვარებაა გამორიცხული – ასეთი რანგის თამაშებს ხომ ხშირად უფროსი ასაკის თანამემამულეთა (და არა მარტო მათი) ფსიქოლოგიური წნეხიც ახლავს თან.

და ბოლოს: ისიც სათქმელია, რომ ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შესვენების შემდეგ განვითარებული მოვლენების დაძაბვას ხელი აზერბაიჯანელი მსაჯის ჰასანოვის ზოგიერთმა ჩასტვენამაც შეუწყო, რომელსაც ერთ-ერთ ეპიზოდში სადავეები გაექცა და მინდროზე მუშტი-კრივი ატყდა.

ხვალ: იტალია – ლატვია (15 სთ., დავით პეტრიაშვილის სტადიონი), საქართველო – მონტენეგრო (18 სთ., მიხეილ მესხის სტადიონი).

მადრიდის „რეალი“ „ჟირონასთან“ მატჩისთვის ერთი დღით ავტობუსს იქირავებს და კატალონიაში ისეთი ტრანსპორტით იმგზავრებს, რომელზეც მისი სიმბოლოები არ იქნება გამოსახული. მიზეზი ის გახლავთ, რომ „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელები იქაური მოსახლეობის გაღიზიანებას ერიდებიან.

როგორც El Mundo წერს, კასტილიელებმა კარგად იციან ადგილობრივ ქომაგთა ამჟამინდელი აგრესიული განწყობის შესახებ, ამიტომ ისინი უფრთხიან საკუთარი ატრიბუტიკით მათ პროვოცირებას.

„ჟირონასა“და „რეალის“ მატჩი 29 ოქტომბერს გაიმართება.

უეფამ ჩემპიონთა ლიგაზე მომხდარი ინციდენტების გამო „პარი სენ ჟერმენს“, „სელტიკსა“ და „ბაზელს“ ფულადი ჯარიმა დააკისრა. აღნიშნული ინფორმაცია მის ოფიციალურ ვებგ-ვერდზე განთავსდა.

შოტლანდიური კლუბი 10 ათასი ევროთი დაისაჯა, რადგან „პსჟ“-სთან თამაშის დროს მოედანზე გულშემატკივრი გადახტა და კილიან მბაპეზე თავდასხმა სცადა, პარიზულ კლუბს კი 5 ათასი ევროს ოდენობის თანხის გადახდა ფანების მიერ ტრიბუნაზე დამტვრეული სკამების გამო „გამოუწერეს“. რაც შეეხება „ბაზელს“, ქომაგთა მიერ პიროტექნიკის გამოყენებისთვის 12 ათასი ევროთი დააჯარიმეს.

გიორგი ზოთაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

მეტოქემ რჩეულნი დაასახელა

უელსის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა უორენ გეტლანდმა შემოდგომის ტესტებისთვის 36 მოთამაშეს უხმო.

54 წლის სპეციალისტმა 20 მორკინალი და 16 უკანახაზელი გამოიძახა. „დრაკონთა“ რიგებში ხუთი დებიუტანტია, ხოლო ბრიტანელი და ირლანდიელი ლომების 2017 წლის გუნდიდან ცხრა მორაგბე ითამაშებს: კენ ოუენსი, ალან ვინ ჯონსი, ჯასტინ ტიპურიკი, ტაულუპე ფალეტაუ, რის ვები, დენ ბიგარი, ჯონათან დევისი, ლი ჰალფპენი და ლიამ უილიამსი.

რაც შეეხება ტრავმირებულებს, კელტებს ამ მიზეზით ჯორჯ ნორთი, სემ უორბარტონი, ელის ჯენკინსი, გეთინ ჯენკინსი, გარეთ ენსკომბი, სკოტ ბალდუინი და როს მორიარტი ვერ დაეხმარებიან.

შერკინება: რობ ევანსი („სკარლეტსი“, 17 კეპი), ვინ ჯონსი („სკარლეტსი“, 2), ნიკი სმიტი („ოსპრეიზი“, 14), ლეონ ბრაუნი („დრაგონსი“, 0), თომას ფრენსისი („ექსეტერ ჩიფსი“, ინგლისი, 23), სამსონ ლი („სკარლეტსი“, 34), კრისტიან დესი („კარდიფ ბლუზი“, 4), ელიოტ დი („დრაგონსი“, 0), კენ ოუენსი („სკარლეტსი“, 50), ჯეკ ბელი („სკარლეტსი“, 26), ადამ ბეარდი („ოსპრეიზი“, 1), სებ დევისი („კარდიფ ბლუზი“, 2), კორი ჰილი („დრაგონსი“, 6), ალან ვინ ჯონსი („ოსპრეიზი“, კაპიტანი, 110), სემ კროსი („ოსპრეიზი“, 0), ტაულუპე ფალეტაუ („ბათი“, ინგლისი, 66), დენ ლიდიეტი („ოსპრეიზი“, 60), ჯოშ ნავიდი (“კარდიფ ბლუზი“, 3), აარონ შინგლერი („სკარლეტსი“, 10), ჯასტინ ტიპურიკი („ოსპრეიზი“, 51);

უკანა ხაზი: ალედ დევისი („სკარლეტსი“, 2), გარეთ დევისი („სკარლეტსი“, 25), რის ვები („ოსპრეიზი“, 28), დენ ბიგარი („“ოსპრეიზი“, 56), რის პატჩელი („სკარლეტსი“, 4), რის პრისტლენდი („ბათი“, ინგლისი, 48), ოუენ უილიამსი („გლოსტერი“, ინგლისი, 1), ჯონათან დევისი („სკარლეტსი“, 64), ტაილერ მორგანი („დრაგონსი“, 4), ჰადლი პარკსი („სკარლეტსი“, 0), ოუენ უატკინი („ოსპრეიზი“, 0), ჰალემ ამოსი („დრაგონსი“, 11), ალექს კატბერტი (“კარდიფ ბლუზი“, 46), სტეფან ევანსი („სკარლეტსი“, 2), ლი ჰალფპენი („სკარლეტსი“, 71), ლიამ უილიამსი („სარაცენსი“, ინგლისი, 43).

როგორც იცით, უელსის ნაკრები 18 ნოემბერს კარდიფის „ფრინსიფალითი სთედიუმზე“ საქართველოს ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „ბორჯღალოსნებთან“ შეხვედრის გარდა, „დრაკონები“ კიდევ სამ საშინაო ტესტს გამართავენ: 11 ნოემბერს ავსტრალიას მიიღებენ, 25-ში – ახალ ზელანდიას, ხოლო 2 დეკემბერს სამხრეთ აფრიკის ნაკრებს დაუხვდებიან.

კოგა კოგახიძე

◎ ტალანტი

ის უკვე ლიდერია!

ევროლიგის ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში „რეალმა“ შინ „ოლიმპია მილანო“ 100:90 დაამარცხა. „სამეფო კლუბის“ ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი 18 წლის სლოვენიელი ლუკა დონჩიჩი გახლავთ, რომელმაც გუნდს 27 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი და 3 ჩაჭრა შესძინა.

ამასწინანდელი ევრობასკეტის გმირმა ევროლიგის სამ მატჩში 68 ქულა ჩააგდო. ფაქტია, რომ ჭაბუკი ბალკანელი ესპანელთა უპირობო ლიდერად იქცა.

მადრიდელები სამი მოგებით ევროლიგის ტოპ-16-ში პირველ ადგილზე არიან.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ დღესასწაული

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული

26 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ივერიის ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის ხატის ხსენებას დღესასწაულობს.

ცნობილია, რომ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენების დღე წელიწადში რამდენჯერმე არის დაწესებული.

აღსანიშნავია, რომ იმპერატორ თეოფილეს მეფობის პერიოდში ბიზანტიის იმპერიაში ხატ-მებრძოლების საშინელი ერესი მძვინვარებდა; იმპერატორის ბრძანებით, იმპერიის ყველა ქალაქსა და სოფელში მხედრები ეძებდნენ გადამალულ ხატებს და ანადგურებდნენ მათ.

იმპერატორის მიერ გაგზავნილმა მხედრებმა ნიკეის მახლობლად მცხოვრები ერთი კეთილმორწმუნე ქვრივის სახლში შეაღწიეს „მახვილი ჩასხეს მას (ე. ი. ხატს)"... მოხდა სასწაული — ნაიარევიდან სისხლმა იფეთქა. შეშინებული მხედრები იქაურობას გაეცალნენ.

ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის ხატის შინაშე. დილით კი, მან, ღვთის განგებით, ხატი ზღვასთან მიაბრძანა და ლოცვის შემდეგ წყალში ჩაუშვა, და წმინდა ხატი დასავლეთისკენ გაეშურა.

...და მოხდა სასწაული, ზღვაზე — როცა ხატს ნათელი დაადგა, ბერებმა მოინდომეს მისი ნაპირზე გადმობრძანება, მაგრამ ხატი მაშინათვე ნაპირს შორდებოდა. **მხოლოდ გაბრიელ ბერმა შეძლო ხატის ზღვიდან ამობრძანება!**

ნიშანდობლივია, ისიც, რომ საკურთხეველში დავანებული ხატი, მეორე დღეს ისევ გაუჩინარდა... ძებნის შემდეგ **ის მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს. ხატი კვლავ ჩამოაბრძანეს და საკურთხეველში შეაბრძანეს. ასე განმეორდა რამდენჯერმე.**

ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

გიული ლიპარტია

იეჰოვას მოწმეთა დევნის ფაქტზე ბრალდებულს გირაო შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლო განცხადებას ავრცელებს, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა აღმსარებლობისა და რწმენის გამო, ძალადობით ჩადენილ რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებულ დანაშაულზე ბრალდებულ ბ. ბ.-ს მიმართ და მას აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაო - 3 000 ლარის ოდენობით შეუფარდა.

„ბ. ბ.-ს ბრალად ედება რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით აღმსარებლობისა და რწმენის გამო ადამიანის დევნა და ძალადობით ადამიანის დევნა.

საქმის მასალების თანახმად, 2017 წლის 22 აგვისტოს თბილისში ბრალდებულმა ერთ-ერთ სკვერში, იეჰოვას მოწმეებს მათთვის განკუთვნილი მოძრავი სტენდიდან რელიგიური შინაარსის ლიტერატურის აღება და ადგილის დატოვება შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოთხოვა. რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით, ბრალდებულმა სტენდზე განთავსებული ბანერი გატეხა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით დატოვა შემთხვევის ადგილი. ერთი თვის შემდეგ შეურაცხმყოფელი ფორმით სტენდის აღება ბრალდებულმა კვლავ მოითხოვა, რის შემდეგაც სახის არეში ხელი რამდენჯერმე დაარტყა იეჰოვას მოწმეს და მიიმალა.

შუამდგომლობის განხილვისას სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ასევე ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლები. კერძოდ, ბრალდებულის შემდგომი, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხისა და რისკის გათვალისწინებით, აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოიყენა - გირაო, რომელიც სრულად უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე".

გაზზე მომუშავე მანქანების შემოწმების პირობები ისევ უცნობია

როგორ და როდის შეამოწმებენ გაზზე მომუშავე ავტომობილებს, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული. წესით, პროცესი უკვე დაწყებული უნდა იყოს, მაგრამ რეალურად არაფერია ცნობილი. ამ დროს ქუჩებში ათასობით შეუმოწმებელი ავტომობილი მოძრაობს, რომელიც უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებსაც ვერ აკმაყოფილებს.

ორიოდე თვეში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექდათვალიერება სავალდებულო ხდება, მათ შორის იგეგმება რეგულაციების გამკაცრება აირბალონზე მომუშავე ავტომობილებისთვისაც, რის შემდეგაც მათ ინსპექტირების გავლა მოუწევთ. თუმცა, ბუნებრივ აირზე მომუშავე მანქანების ინსპექტირება რამდენიმე თვის წინათ უნდა დაწყებულიყო, მაგრამ შემოწმების პროცესი ერთ წერტილზე გაიყინა, არადა ინსპექტირების დასრულების ბოლო ვადად თავიდან 2018 წლის 1 იანვარი სახელდებოდა.

სატრანსპორტო სფეროს ექსპერტი **დავით მესხიშვილი** ამბობს, რომ ინსპექტირების პროცესი უკვე აქტიურ ფაზაში უნდა იყოს შესული, მაგრამ მას ბევრი ხელის შემშლელი მიზეზი ახლავს. პირველი ის არის, რომ საკმარისი რაოდენობის სერვის ცენტრები არ არსებობს.

„წესით, ვისაც ამ ბიზნესში მუშაობა სურს, სერვის ცენტრის გახსნამდე აკრედიტაცია უნდა გაიაროს. ჩვენთან მხოლოდ 3 ასეთი მომსახურების ცენტრია და ისიც მხოლოდ თბილისში. წარმოიდგინეთ, ადამიანი ბათუმში რომ ცხოვრობს, უნდა გამოიაროს ასეულობით კილომეტრი, რომ დედაქალაქში ჩამოვიდეს და აირბალონი აქ შეამოწმოს. ეს მთავარი მიზეზია, რომლის გამოც ინსპექტირების პროცესი ადგილიდან ვერ დაიძრა. შეიძლება ითქვას, რომ სისტემა ამ კატეგორიის მანქანების ინსპექტირებას სრულიად მოუმზადებელი შეხვდა.

მთავრობის დადგენილებით სპეციალური გრაფიკიც შედგა, სადაც მოცემულია, როდის უნდა შემოწმდეს 23 წელს ზემოთ ასაკის ავტომობილები...

შემოწმება ყოველ 6 თვეში სხვადასხვა ასაკის ავტომობილებს უნდა გაევლო და ყველაფერი ამ განრიგის მიხედვით უნდა ყოფილიყო, მაგრამ სამმა ეტაპმა უკვე გაიარა და გაზზე მომუშავე ავტომანქანების ინსპექტირება, პრაქტიკულად, ჩავარდა. რა იქნება 2018 წლის იანვრამდე, ან 1 იანვრის შემდეგ ამის აქტიური განხილვა მე არ მომისმენია. არც ის გამიგია, რომ სერვისცენტრები სხვა ქალაქებშიც უნდა გაიხსნას. თუ ეს ცენტრები ხელმისაწვდომი არ იქნება, ბუნებრივია, შემოწმების პროცესი ყოველთვის ჩავარდება. თანაც, ლაპარაკი ხომ არ არის ერთ, ან ორ ავტომობილზე - საუბარია 200-250 ათას ავტომობილზე", — განუცხადა „ბიპიენს" მესხიშვილმა.

გაზზე გადაყვანილ ავტომობილებს თავდაპირველად შეუმოწმებენ, რამდენად სწორად არის დამონტაჟებული აირბალონი ავტომანქანაში; დამტენი და მანომეტრი არ უნდა იყოს საბარგულში; გაზის მილი უნდა იყოს 32 მმ-იან გოფრირებულ შლანგში ჩასმული; სალტეები უნდა იყოს, მინიმუმ, მილიმეტრნახევრიანი სისქის და 4-5 სანტიმეტრის სიფართის და ცეცხლმაქრი უნდა ჰქონდეს აუცილებლად ყველა ავტომობილს.

აირბალონს, თავდაპირველად დაცლიან ბუნებრივი აირისგან, შემდეგ მოხდება მისი დატუმბვა 300 კგ/სმ² წნევით, ხდება მისი წყლით გამორეცხვაც. თუკი ის ყველაფერს გაუძლებს, ჩინურ ბალონზე — სამწლიანი, ხოლო იტალიურზე ხუთწლიანი სერტიფიკატი გაიცემა.

ამ ეტაპზე აირბალონების შემოწმებას ქვეყანაში სამი კომპანია აწარმოებს. ერთი კახეთში და ორი თბილისში. მათგან ერთს დღეში 25-მდე ავტომობილის მომსახურება შეუძლია. ეს ნიშნავს, რომ მაქსიმალური დატვირთვის პირობებშიც კი 1 დღეში 80-90 მანქანაზე მეტი ვერ შემოწმდება. წელიწადში ეს 22-23 ათასი ავტომობილია.

როგორც ეკონომიკის სამინისტროს აკრედიტაციის ცენტრში აცხადებენ, შესაძლებელია, რეგიონებში გაიხსნას შემმოწმებელი კომპანიები, მაგრამ ეს ყველაფერი კერძო ბიზნესის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით კი, კერძო სექტორი ამ მიმართულებით არ აქტიურობს.

ბექა დანელია

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRPIII)**
განმახორციელებელი უწყება: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**
ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P148048**

კონტრაქტის № **SLRPIII/CS/CQS-04**
გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია: **შპს პროექტმშენკომპანი**
კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **18 ოქტომბერი, 2017**
შერჩევის მეთოდი: **CQS -კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევა**
კონტრაქტის ღირებულება: **112,631.00 ლარი**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **90 დღე**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **იმერეთის და შიდა ქართლის რეგიონში მცირე მასშტაბის საგზაო უსაფრთხოების ღონისძიებების განსახორციელებლად დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება**

CONTRACT AWARD NOTIFICATION

Project Name: **Third Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**
Project Implementing Agency**: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: **Georgia**
Project number: **P148048**

Contract Reference No: **SLRPIII/CS/CQS-04**
Awarded Firm: **Proeqtmshenkompani Ltd**
Contract Signature Date: **October 18, 2017**
Method of Selection: **CQS – Consultants' Qualification Selection**
Contract Price: **GEL 112,631.00 (One Hundred Twelve Thousand Six Hundred Thirty One Georgian Lari)**
Duration of Contract: **90 days**
Scope of Contract: **The Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Small - Scale Road Safety Improvements in Imereti and Shida-Kartli Regions**

◎ ყველაფერი ყველაფერზე

აინშტაინის ჩანაწერი 1,5 მილიონ დოლარად გაიყიდა

1922 წელს უდიდესი ფიზიკოსი ალბერტ აინშტაინი იაპონიაში ლექციების წასაკითხად იმყოფებოდა. მან სასტუმროს დამბინავებელს საათანადოდ ვერ გადაუხადა თანხა და სანაცვლოდ რამდენიმე ცხოვრებისეული ფრაზა დაუწერა.



ალბერტმა მფლობელს უთხრა, რომ წლების შემდეგ ეს ფურცლები ათჯერ იმაზე მეტად გაიყიდება, ვიდრე ეს მომსახურების საფასურიაო.

გენიოსის სიტყვები, რა თქმა უნდა, გამართლდა.

ფურცელი რომელზეც ეწერა „მშვიდი და თავმდაბლური ცხოვრება უფრო მეტ ბედნიერებას მოიტანს, ვიდრე მუდმივი წუხილი წარმატების მისაღწევად“ – 1,5 მილიონ დოლარად გაიყიდა, ხოლი მეორე ჩანაწერი „სადაც არის სურვილი, იქვეა შესაძლებლობაც“ – 240 000 დოლარად.

აუქციონზე გენიოსის კიდევ ორი სხვა წერილი გაიტანეს, რომელიც 50 000 დოლარად გაყიდეს.

სასტუმროს მფლობელს ნამდვილად გაუმართლა, როცა თავის დროზე აინშტაინს თანხა არ გამოართვა.

კატალონია აღარ ხუმრობს?

კატალონიის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის ჟირონას ხელისუფლებამ, ესპანეთის მეფე ფილიპ-VI პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა.



ეს პასუხია იმაზე, რომ 1 ოქტომბერს კატალონიაში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ მეფემ კონსტიტუციის ის ნაწილი გამოიყენა, რომელიც უფლებას აძლევს, რეგიონზე სრული კონტროლი განახორციელოს.

ოფიციალური მადრიდი რეფერენდუმის შედეგებს არაკონონიერად თვლის. კატალონია კი თავის მხრივ 2018 წლის იანვარში ვადამდელი არჩევნების ჩატარებას აპირებს.

თანამედროვე ტექნოლოგიებს ვერსად დაემალები

ჰაკერების ერთ-ერთმა დაჯგუფებამ განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის პრესტიჟული პლასტიკური ქირურგიის საავადმყოფოს სერვერები გატეხეს და იქიდან ოპერაციის დროს გადაღებული ფოტოები მოიპარეს.

ეს ფაქტი ყველაზე მეტად ცნობილ ადამიანებს აღელვებთ, რადგან ამ კლინიკაში თვით სამეფო ოჯახის წარმომადგენლები იკეთებდნენ ოპერაციებს.

კლინიკის ხელმძღვანელობამ ფაქტი დაადასტურა, თუმცა რა რაოდენობის ინფორმაციაა მოპარული, არ იციან.

„კომპიუტერის ჭიები“ – იმუქრებიან, რომ სურათებს ჟურნალისტებს გადასცემენ, თუმცა კონკრეტული მოთხოვნები ჯერ არ წამოუყენებიათ.

„დავითის“ ცნობილ ქანდაკებას კონკურენტი გამოუჩნდა

ესპანელი მხატვარი ადრიან პინო ოლივიერა თავისი ექსტრავაგანტურობით საზოგადოებას შოკში აგდებს.

მან 22 ოქტომბერს ფლორენციის ხელოვნების გალერეაში მდგარი მიქელანჯელოს შედევრის „დავითის“ წინაშე დედიშობილა იპოზიორა.

ეს პირველი მცდელობა არაა მისი სითამამის. 2014 წლიდან მოყოლებული ადრიანომ არაერთი ცნობილი შედევრის წინ მოაწყო მსგავსი სანახაობა.

მან თავის ქმედებას „პროექტი V“ უწოდა და ყოველთვის რომელიმე თვის 22 რიცხვში ანხორციელებს. „V“ – რომაულ მითოლოგიაში სიყვარულის ქალღმერთ ვენერას აღმნიშვნელია, ხოლო ლათინურ ანბანში იგივე „V“ – 22-ს ნიშნავს.

ნუდუსტი-რეციდივისტი ამით მიანიშნებს „ქალის ღვთიურ ძალაზე, რომელიც დომინანტი უნდა გახდეს თანამედროვე მსოფლიოში, რადგან კაცებმა თანდათანობით დაკარგეს თავიანთი სიძლიერე“.

დასჯიან თუ არა ესპანელ სკანდალისტს, ჯერ უცნობია.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

მსხვერპლი მოდისა

ექიმთან მიდის პაციენტი, საერთო სისუსტეს უჩივის. ექიმი სინჯავს და ეუბნება:

— უწინარესად ბევრი უნდა იძინო.

— ეგ შეუძლებელია, ექიმო, — შეწუხებულია პაციენტი.

— რატომ?

— შინ თანამედროვე ავეჯი მიდგას.

გიჟური სისწრაფე

კარგა გვარიანად გალეშილმა პარიზელმა ტაქსი გააჩერა თანხმობის მოედანზე და მძღოლს უთხრა:

— თუ შეიძლება, თანხმობის მოედანზე წამიყვანე.

მძღოლი ეუბნება:

— ჩვენ თანხმობის მოედანზე ვართ.

მგზავრი ჯიბიდან საფულეს იღებს და საყვედურის გამომხატველად აქნევს თავს:

— აჰა, გამომართვი, ოღონდ სხვა დროს ასეთი გიჟური სისწრაფით არ იარო.

პაემანი გრენლანდიურად

გრენლანდია. ბოძთან დგას ბეწვეულში შეფუთული ახალგაზრდა კაცი. ძალიან ცივა, თოვლი მოდის, მწარე ქარი უბერავს, ახალგაზრდა კაცი ნერვულად დასცქერის ხელში ჩამუჭულ თერმომეტრს და ბოლოს, სუნთქვაგაძნელებული ამბობს:

— მორჩა! თუ ორმოც გრადუსამდე არ გამოჩნდა, მივდივარ.

თქვენ დაუკარით?

მისის ბრაუნის მიღებაზე ქალაქის ნარჩევმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. ერთი გენერალიც იყო, ჩინ-მედლებით ახორხლილი.

უცებ სასტუმრო ოთახში შემოვარდა ლაქია.

— თქვენ დაუკარით? — ჰკითხა მან მისის ბრაუნს.

— რა დაგემართა, პატრიკ, დარეკვასა და დაკვრას ვერ არჩევ ერთმანეთისგან, მე კი არ დაგირეკე, ეს ბატონმა გენერალმა დააცხიკვა.

გამორიცხვის მეთოდი

შორეული დასავლეთი. რესტორანში ორი კოვბოი ზის.



— იმ ხუთ ტიპს ხედავ, კუთხეში მაგიდას რომ უსხედან? — ამბობს ერთი.

— ვხედავ, მერე რა?

— აგერ ის მაღალი ქერა?

— ეგენი სუყველა მაღალი და ქერაა.

— მე იმაზე გეუბნები, შლაპა გვერდზე რომ ახურავს.

— მაგათ სუყველას გვერდზე ახურავს შლაპა.

— გაუჩერებლად ყველაზე მეტს რომ ლაქლაქებს, ის ამომივიდა ყელში.

— ეგენი სუყველა გაუჩერებლად ლაქლაქებენ.

კოვბოის მოთმინების ფიალა აევსო, რევოლვერი დააძრო და ხუთიდან ოთხი ეგრევე გააგორა.

— ახლა მიხვდი, ვისზე ვლაპარაკობდი? ეგ არის ის, რომელიც დარჩა.

— ახლა ვხედავ, მერე რა?

— მერე რა და ნერვებზე მომშალა...

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5206; ევრო - 2.9635;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3219;
100 რუბლი - 4.3885; თურქული ლირა - 0.6779;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4809;
1000 სომხური დრამი - 5.2349.

ამინდი 26 ოქტომბრისთვის
ალმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +26
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +23
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +20
თბილისი: ღამე +8, დღე +22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge